# სახალხო გაზეთი

№ 908 შაბათი, 1 ივნისი 1913 წ. № 908

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დამატებით განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვე მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **5 მ. 25 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.


ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ნატალია აბრამის ასული ფარესიშვილისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **დავითი** შვილნი მისნი **ვლადიმერ, ზაქარია, ლოლო, ნინო** და **შალვა** და **დარია დეკანოზიშვილისა,** რძლები **მარუსა** და **ანეტა.** პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარ ბინაზე (ვეძინის ქ. № 16) საღამოს 8 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ორშაბათს, 3 ივნისს კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1239

**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების მორიგი კრება**

**დღეს, 1 ივნისს,**

თავად-აზნ. სადეპუტატო საკრებ. დარბაზში, (ბელინსკის ქუჩ. სახ. № 2), **სერგეი გორგაძე** წაიკითხავს რეფერატს: **„ქართულ ენაში სტილის ძირითადი პრინციპი“.**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

**ლევანდოვსკის პროგიმნაზია**

მთავრობის 6-კლასიან პროგიმნაზიათა უფლებებით.

**ანასტახიას ქუჩა, № 14.**

**10 ივნისიდან გადადის** საკუთარ სახლში **გუნიბის ქუჩაზე № 10,** (ზემმელის აფთიაქიდან მოსკოვის ქუჩისაკენ, მეორე ქუჩა მარჯვნით).

ახლად შემსვლელთა მიღებას განაგრძობენ **ძველ ბინაზე კიდევ 7 ივნისამდე.** 317

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 [illegible] ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—[illegible].<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით [illegible]—[illegible].<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაცია, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ[illegible]ღავათიანი საფასურით. წ. 1035

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში**

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

**ილია ჭავჭავაძე:**

| | |
|---|---|
| კაცია ადამიანი? | 20 კ. |
| გლახის ნაამბობი | 20— |
| ოთარაანთ ქვრივი | 18— |
| ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი | 3— |
| სახრჩობელაზე | 5— |
| მგზავრის წერილები | 7— |
| გლეხთა განთავისუფლების პირველ დროის სცენები | 7— |
| უცნაური ამბავი | 4— |
| რჩეული ლექსები | 7 |
| განდეგილი | 5— |
| კაკო ყაჩაღი | 5— |
| დედა და შვილი | 3— |
| დიმიტრი თავდადებული | 7— |
| აი ისტორია | 35 კ |
| ცხოვრება და კანონი | 25— |
| კრიტიკული წერილები | 25— |
| პოლემიკური წერილები | 10— |

**ახლად მიღებული წიგნები:**

| | |
|---|---|
| შიო მღვიმის ამი სიგელი სარ. კაკაბაძისა | 40 კ. |
| ანდერძი დავით აღმაშენებელისა, შიომღვიმისათვის დაწერილი | 30— |
| სიგელი მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წ. შიო მღვ. დაწერ. | 15— |
| მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—1448 წ გიორგი IX ს მიერ ბოძებული | 10— |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი**

კვირას, 2 ივნისს, გაიმართება

**სალიტერატურო და სამუსიკო დილა**

**განყოფილება I.**

1. **ლექცია „ქართული ლიტერატურა მე-19-ე საუკუნეში“** წაიკითხავს ქართულ დრამატიულ საზოგადოების კურსების ლექტორი ბ-ნი **მიხეილ წულუკიძე.**

**განყოფილება II.**

1. გუნდი **„ბუთნის დედა“** ლექსი **ილ. ჭავჭავაძისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა,** 2. ლექსი—ბ-ნი **ასოსპირელი.** 3. ლექსი—ბ-ნი **აბაშელი.** 4. ლექსი ბ-ნი **ი. ევდოშვილი.** 5. ლექსი—თ-დ **ქ. მაყაშვილი.** 6 **„მაშ გამარჯვება“,** ბაირონიდან, მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.**

**განყოფილება III.**

1. გუნდი საყმაწვილო ოპერიდან **„ორი ძალა“** („ეს ქვეყანა ყველაფრით მდიდარია“). მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა 2.** ახალი ესკიზი **ბ-ნ შიო არაგვისპირელისა** წაიკითხავს ქ-ნი **ბ. პ. სულხანიშვილი.** 3. გუნდი: **„ორატორია“** ლექსი **აკაკისა** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.** 4. ლექსი **ვაჟა-ფშაველა.** 5. გუნდი **„სამშობლო ხევსურისა“,**—ლექსი **რ. ერისთავისა,** მუსიკა **ნ. პ. სულხანიშვილისა.**

დასაწყისი 1-ლ საათზე ბილეთები დღეიდანვე იყიდება „სახალხო სახლის კასაში. 1233

**3 თიბათვეს 1913 წ.**

**„მიმოზა“-ს ბაღში**

(მიხეილის პროსპექტი, იუნკრების სასწავლებლის პირდაპირ)

**გაიმართება სეირნობა**

**ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ.**

დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

შესასვლელი ფასი 25 კაპ. ბავშვები და მოსწავლენი იხდიან 15 კაპ. 231

**საბურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ $9^1/_2$ ს. [illegible]0 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა-და ვენერ 11—1 1/2 ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ 11— $1^1/_2$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით $11$—$11^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

**გ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. 1—2 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1053

**დოქტორი მედიცინისა**

**გ. გ. მებრაზიანცი,**

**კისლოვოდსკში წავიდა**

ავადმყოფებს მიიღებს: კოლოსოვას სასტუმროში, („ნარზანი“-ს გალერეის პირდაპირ). 1238

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **ხაშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ ქ.** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—8 ნახ. საათ. კახეთის ქ., № 6.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

**ექიმი** კბილის **ა. გ. ხოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ივ. გომართელი** პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307

## სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა

სოციალისტური პარტიების ტაქტიკა საკანონმდებლო დაწესებულებებში ყოველთვის დიდს აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევდა სოციალისტურს წრეებში. ამ ნიადაგზე ხშირად ძირითადი განხეთქილება დაბადებულა პარტიაში და შესამჩნევი კვალიც დაურჩენია სოციალისტურს პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში. პირველი და უმთავრესი მიზეზი კონფლიქტისა ის არის, რომ პრაქტიკაში თეორიულად შეთვისებული გეგმა მოქმედებისა მთელი თავისი მთლიანობით ვერ ხორციელდება. ძირითადი თვისება სოციალისტურ აზროვნებისა არის უარყოფა თანამედროვე კაპიტალისტურ წეს-წყობილებისა და უარ-ყოფა ისეთი კანონმდებლობისა, რომელიც ბურჟუაზიულ საზღვრებს არა სცილდება. ასეთი შეხედულება შეითვისეს მარქსისტულ სკოლის სოციალისტებმა—ჯერ გერმანიისა და მერე რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა. თანდათან, ცხოვრების ულმობელი კანონების ზედ-გავლენით, სოციალ-დემოკრატები იძულებული გაჰხდნენ თავიანთი ტაქტიკა შეეცვალათ და რაოდენადმე კომპრომისულ პოზიციაზე დამდგარიყვნენ. მაგრამ ერთი რამ მაინც სავალდებულო და თითქოს სრულიად უცილობელი დარჩა მათთვის—უარყოფა ბიუჯეტისა. ეს უკვე საპარლამენტო მოღვაწეობის საანბანო ჭეშმარიტებადა და აქსიომად ითვლება.

რუსეთში, სადაც ჯერ საკონსტიტუციო რეჟიმს ვერ მოუკიდია ფეხი, სადაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სისტემა ვერ აკმაყოფილებს არამც თუ სოციალისტურ ჯგუფებს, არამედ ლიბერალურ და ფრიად ზომიერ წრეებს, ამისთანა პირობებში უკადურესი ტაქტიკა სოციალ-დემოკრატიული საპარლამენტო ფრაქციისა თითქოს ჰპოულობს გასამართლებელ საბუთს. მაგრამ აქაც კი ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე კონფლიქტი შეთვისებულ მოქმედების გეგმასა და სინამდვილის შორის. ერთი ამნაირი კონფლიქტის მოწმენი გავხდით მაშინ, როდესაც სათათბირომ განიხილა ფოსტისა და ტელეგრაფების ხარჯთ-აღრიცხვა. ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა სოციალ-დემოკრატმა მურანოვმა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობის შესახებ და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ საჭიროა მოსამსახურეთათვის დაწესდეს 7 საათის სამუშაო დღეო. მაშასადამე, 7 საათის სამუშაო დღე მოთხოვნა იყო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა.

მიუხედავად ამისა, კენჭის ყრის დროს უცნაური სურათი გადაიშალა. კადეტთა ფრაქციამ შეიტანა ფორმულა, რომლის მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში უნდა დაწესდეს 7 საათის სამუშაო დღე. სათათბირომ მიიღო კადეტთა ფორმულა, გარდა სწორედ ზემოხსენებული მუხლისა. 109 წინააღმდეგი იყო, 97 მომხრე, თერთმეტმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ამ თერთმეტთა შორის იყვნენ სოციალდემოკრატებიც. ამ რიგად, მარტო იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატებმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს და კადეტთა ფორმულას მხარი არ დაუჭირეს, უარყოფილ იქმნა ფორმულა 7 საათის სამუშაო დღის შემოღებისა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში.

არ ვიცით, რა „ბრძნული“ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, როდესაც თეორიულად 7 საათის სამუშაო დღისთვის თავი გამოიდეს და კენჭის ყრით კი ხელი შეუწყეს მის დასამარებას? ალბად მიზეზი იგივე „მემარცხენეზე მემარცხენეობა“ თუ იყო, რომელიც ნებას არ აძლევს სოციალ-დემოკრატებს მხარი დაუჭირონ „ბურჟუაზიულ პარტიას“, თუნდაც იგი იმასვე მოითხოვდეს, რასაც სოციალ-დემოკრატიული პარტია.

იქნება მართლმორწმუნე მარქსისტის სოციალისტური სინიდისი ამნაირი ნაბიჯით კმაყოფილი იყოს, მაგრამ არა გვგონია იგი ძალიან ესიამოვნოს იმათ, ვინც პირდაპირ განიცდის 8-9 საათის მუშაობის სიმწვავეს.

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

**29 მაისის სხდომა**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. სათათბიროს არჩევნების უკანონობის გამო შეტანილ შეკითხვებზე მსჯელობენ.

**ლელიავსკი** ცდილობს დაამტკიცოს შეკითხვათა უსაფუძვლობა. იგი ეხება სამღვდელოების როლს არჩევნებში და დასძენს: სინოდი დამნაშავე არ არის, როდესაც იგი მოუწოდებს ხალხს, აირჩიოს გონიერი, შრომის მოყვარე, მორწმუნე და თვითმპყრობელის თაყვანისმცემელი დეპუტატები. ასეთი ხალხი კი მემარჯვენეთა შორის მოიპოვებოდაო. (მარჯვნით ტაში). მოლაპარაკე სურვილს გამოსთქვამს, სამღვდელოებამ შემდეგშიაც მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში ისე, როგორც მოითხოვს სამი ივნისის კანონი. სამღვდელოება ცალკე კურიად უნდა გამოიყოს.

**მომხსენებელი ლიუცი** სამღვდელოების ცალკე კურიად გამოყოფა სრულიად კანონიერია და ნათლადაც არის აღნიშნული არსებულ კანონში.

**გროდზიცკი** ასაბუთებს პროგრესისტთა შეკითხვას. მისი სიტყვით, არჩევნები უკანონოდ მიმდინარეობდა, და, რაც შეკითხვაში საკმარისად არის დასაბუთებული.

**ლვოვი პირველი** ამტკიცებს, რომ არჩევნების უკანონობასა და ბოროტმოქმედებაში დამნაშავენი მარტო ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი არ არიან. ამის ბრალი მიუძღვის ცენტრალურ მთავრობას—სინოდს და საშინაო საქმეთა სამინისტროს.

შემდეგი სხდომა 31 მაისისთვის არის დანიშნული.

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **გელოვანის ფორმულა.** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ დეპუტატმა გელოვანმა სათათბიროში შეიტანა ფორმულა იმის შესახებ, რომ საჭიროა მოსამართლეებმა ადგილობრივი ენები იცოდნენ. ამის გამო გაზეთს „კავკაზ“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „თავდაპირველად ფორმულა მხოლოდ კავკასიას შეეხებოდა. პოლონელების თხოვნით გელოვანმა ფორმულას საზოგადო ხასიათი მისცა და ყველა განაპირა ქვეყნებისთვის მოითხოვა ადგილობრივ ენათა ცოდნა. სათათბიროს ცენტრმა გელოვანის ფორმულას მხარი დაუჭირა. მემარჯვენე ოქტომბრისტებმა, შუბინსკის მეთაურობით, გელოვანის ფორმულას მხარი არ დაუჭირეს.

✦ „ტიფლ. ლისტოკის“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „ფინანსთა და გზათა მინისტრებმა მინისტრთა საბჭოში შეიტანეს პროექტი შუაკავკასიის რკინის გზის საზოგადოების დაარსების შესახებ. ნავარაუდევი რკინის გზა დაიწყება კახეთის რკინის გზის სადგურ წნორის წყალიდან და ნუხა-შემახით მივა ბაქომდე“.

✦ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი კ. ნ. აბხაზი** და ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი **ნ. ი. საგინაშვილი,** რომელნიც მოსკოვის დღესასწაულზე იყვნენ წასულნი, ტფილისს დაბრუნდნენ.

✦ **საფლავის გაძარცვა.** 28 მაისს, ღამე, მესაფლავემ წინა დღის დაკრძალულ გოგოშიძის ბავშვის საფლავი გათხარა და მიცვალებული გაძარცვა. წაუღია [illegible]აბა, ფეხსაცმელები, ავგა წინდებით და ერთი მანეთი, რომელიც საფლავში ჩაუყოლებიათ. ბოროტმოქმედი შეიპყრეს და ოქმი შეუდგინეს.

✦ **ახალი შენობა თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისათვის.** როგორც ვიცით, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკმა გადასწყვიტა აეშენოს საკუთარი შენობა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, სახელმწიფო ბანკის გვერდით. სახლის აშენების დაწყება ცოტა დაგვიანდა, რადგანაც განზრახული იყო ქართული სტილით აშენება. ამ მიზნისთვის ბანკის ადმინისტრაციამ ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა სამასი თუმანი. ბანკში წარუდგენიათ ექვსი პროექტი შენობისა. ჟიურის მოუწონებია მხოლოდ ერთი, რომელიც კალგინისა და გრინევსკის შედგენილი აღმოჩნდა. გარდა ამისა, ჟიურიმ გადასწყვიტა შეიძინოს ბანკმა საკუთრებად პროექტები ნ. ა. ობოლენსკისა და ს. კ. კლდიაშვილისა, როგორც საინტერესო პროექტები. ჟიურის გადაწყვეტილების შემდეგ ბანკმა შესაძლოდ დაინახა მიანდოს არხიტექტორებს ობოლენსკისა და კალგინს შესწორება დაჯილდოვებული პროექტისა და საბოლოვო შემუშავება მისი. აირჩიეს განსაკუთრებული საამშენებლო კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ბანკის გამგეობის თავმჯდომარე უგანათ. თავ. მ. ა. გრუზინსკი და ზედამხედველი კომიტეტის წევრები თავ. ი. გ. ბარათაშვილი და დ. გ. ჯორჯაძე. კომისიას ზოგიერთი სამუშაო კიდეც გაუცია იჯარით იმ ვარაუდით, რომ მომავალ საამშენებლო ვადისთვის

შენობა სახურავამდე გათავდეს. 1914 წლის შემოდგომისთვის შენობა სულ უნდა გათავდეს.

◆ **ტრამვაის დაჯარიმება.** 4 აპრილიდან 3 მაისამდე ქალაქში ტრამვაის ვაგონთა საკმარისი რიცხვი არ მუშაობდა. ამის გამო ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ ტრამვაის დირექცია 15,390 მან. დააჯარიმა. გუშინ ქალაქის მთავარმა კანტროლიორმა განკარგულება მოახდინა, რათა ხსენებული ფული აიღონ იმ ფულიდან, რომელიც ტრამვაის ქალაქის კასაში ბეს სახით აქვს შეტანილი

◆ **ხმოსანი ს. ა. სულხანოვი,** რომელმაც ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრობას თავი დაანება, კომისიაში კვლავ დარჩა, თანახმად ტფილისის საბჭოს თხოვნისა.

◆ მოკლე ხანში **სოლოლაკის გვირაბის** გაყვანის განგრძობას შეუდგებიან.

◆ ქალაქის საბჭომ ნება დართა ქალაქის გამგეობას, დამატებითი ხელშეკრულობა დასდოს **„ტფ. კრუჟოკ“-თან.** ხელშეკრულობის ძალით ქალაქმა „კრუჟოკ“-ის შენობაში ცენტრალური გათბობა უნდა მოაწყოს, რისთვისაც „კრუჟოკ“-მა წელიწადში 900 მა უნდა აძლიოს ქალაქს.

**სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა კვირას, 2 ივნისს, დილის 11½ საათზე, სახალხო სახლში ლექციას მართავს რუსულ ენაზე. წაიკითხავს ტ. კ. მარქარიანი შემდეგს თემაზე: „მოწოდება და ფაკულტეტის ამორჩევა მოსწავლეთათვის“.

◆ **კავკასიელ ქალთა საზოგადოება** 2 ივნისს მუშტაიდში **სეირნობას** მართავს თავის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ ტფ. სამოსამართლო პალატის თავჯდომარემ ბ-ნმა ლაგოდამ წინადადება მისცა ინჟენერ მიცკევიჩს, შეადგინოს პროექტი და ხარჯთაღრიცხვა განჯისა და ყარსის ოლქის სასამართლოს შენობებისა.

◆ **გარდაიცვალა** სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების სამმართველოს უფროსად ნამყოფი გ. ი. ზელენინი. დასაფლავება დანიშნულია დღეისთვის, კუკიის სასაფლაოზე.

◆ **შუამდგომლობა.** სახალხო გასართობთა საზოგადოებას ქალაქი ყოველ-წლიურად 400 მან. შემწეობას აძლევს. საზოგადოებამ ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, დღეის შემდეგ 1000 მან. აძლიოს. ამას გარდა ერთდროულად სთხოვა 5,000 მან. აუდიტორიის ასაგებად ვერაზე, საკუთარ ბინაზე.

◆ **საბირჟო ცნობები.** 31 მაისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 85 კ., აძლევენ—85 მან. 50 კაპ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა; აფასებენ—83 მან. 55 კ., აძლევენ—83 მ. 20 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მან. აძლევენ—80 მან. 25 კ.

◆ **ვერის პარკში.** ბუფეტი უკვე გააკეთეს. პარკი გაიხსნება 15 ივნისს, ამ დრომდე ქალაქმა უნდა გააკეთოს ვერის ხიდიდან პარკში ჩასასვლელი გზა, ხიდი მდინარე ვერაზე, პარკის ახლო, და აუზები პარკში.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ 3 ივნისს **„მიმოზა“-ს** ბაღში გაიმართება **სეირნობა,** ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ. იმედია ქართველი საზოგადოება მრავლად დაესწრება ამ სეირნობას და ამით ხელს შეუწყობს ამ სკოლის წარმატებას. პროგრამმა სეირნობისა ვრცელია. ნივთები გასასყიდად და სათამაშოდ დამზადებულია მრავალი, ლამაზი და ძვირფასი. მოწაფეთა ხელსაქმეები: მუთაქები ბალიშები, ნაქარგი ფერადის ძაფებით ოთახის სამკაული, ბავშვების, ქალების კაბები, ნაქარგი საცვლები, საყელოები და სხვა. ბაღი მშვენივრად იქნება განათებული, დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

◆ **რუსეთის მეხილეობის საზოგადოების** ამიერ-კავკასიის განყოფილების წევრთა საერთო კრება 30 მაისს მოხდა კაპიტან ხეთაგურის თავმჯდომარეობით. განყოფილების წევრებმა კაზანჩიევმა და ჟამკოცევმა საინტერესო მოხსენება წაიკითხეს მებოსტნეობის შესახებ.

## ქუთაისი.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე.

◆ დღეს ქალაქის თეატრში გოგებაშვილის სახელის სახსოვრად საღამო გაიმართება. წელიწადი შესრულდა ამ ჩვენი ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის, გარდაცვალებიდგან. ზევრგან ჩვენი ქვეყნის სკოლებში აღნიშნეს ეს დღე და ხვალ ნიორაძის თაოსნობით ქუთაისშიაც იმართება საღამო. თვით ნიორაძე წაიკითხავს მოხსენებას „გოგებაშვილის პედაგოგიური იდეალები“. საღამოზე სხვა ჩვენი მწერლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

◆ დღეს ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე (შავი ქვის საბჭო, საღამ. 8 ს.) ლორთქიფანიძის ქალი ისაუბრებს ქართულ ისტორიაზე.

◆ მოკლე ხანში საქალაქო **თეატრის** აგებას შეუდგებიან ქ-ნ ე. ი. სარაჯიშვილის შეწირული თანხით.

## ტფ. ქალაქის საბჭო

**30 მაისის კრება.**

კრება იწყება საღამოს 9 საათზე ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით.

რამდენიმე წვრილმან საქმის განხილვის შემდეგ, საბჭო გადადის ქალაქის კონტროლის საკითხზე.

რადგან ეს საკითხი ფრიად სერიოზულია და დიდს დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს, ამიტომ საბჭომ დაადგინა: ამ საკითხის განხილვა შემოდგომისთვის გადასდვას. ხანგრძლივ კამათს იწვევს მოხსენება ქალაქის დავალიანების შესახებ.

ქალაქის მოურავი **ა. ი. ხატისოვი** მოხსენების წაკითხვას საჭიროდ არა სთვლის, რადგანაც ხმოსნებს თავის დროზე დაურიგდათ იგი და თხოულობს მის განხილვის გადადებას შემოდგომამდე, მით უფრო, რომ მოხსენებაში გამგეობას რაიმე კონკრეტული წინადადებანი არა აქვს და ამას გარდა ის საკითხები, რომელსაც ქალაქის დავალიანებასთან კავშირი აქვს, ისედაც გარჩეულ იქნება 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს.

**ხმ. მიტკევიჩი** თანახმაა მოხსენების განხილვის გადადებისა, მაგრამ დასძენს, ისე ადვილ საქმედ არ მიმაჩნია ქალაქის საფინანსო მდგომარეობის გამოკვეთება, როგორც ქალაქის გამგეობასაო.

**ხმ. ბაბოვს** სურს შეიტანოს კონკრეტიული წინადადება: აიღოს ხოლმე ქალაქმა საგანგებო შემთხვევაში ბანკიდან სესხად 50—70 ათასი მანეთი იმ დიდ სესხის ანგარიშში, რომელიც საბჭოს მიერ ნება დართულია.

**ხმ. გაზმანოვს** შეუძლებლად მიაჩნია მოხსენების განხილვის გადადება, რადგანაც ქალაქის ზარალი დღითი-დღე საშინლად მატულობს; ზარალი იმ ციფრის მიხედვით, რომელიც ხელთა გვაქვს,—განაგრძნობს ორატორი—მარტო ამ წლის ბოლოს ერთ მილიონამდე მიაღწევს. შემოსავალი სუსტად შემოდის, ხარჯები კი თავის მხრივ არის. საჭიროა ახლავ მოვიფიქროთ, ქალაქის ბიუჯეტის ბალანსი როგორ შევადგინოთ, რათა დაგვიანებას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს.

გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული** პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ გამგეობას ოპტიმიზმს სწამებენ. გამგეობას—განაგრძობს იგი—არ სურს დაარწმუნოს ვინმე, ქალაქის საფინანსო მდგომარეობა სასურველად არის დაყენებულიო; გამგეობა არა ჰყვირის, „არიქა, გვიშველეთ, ვიღუპებითო“, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი საქმეს ოპტიმისტურად უცქერის. პირიქით, გამგეობა აღნიშნავს ქალაქის უნუგეშო საფინანსო მდგომარეობას და გეუბნებათ, ჩქარა 400,000 მან. სესხი აიღეთო; საფინანსო წელიწადი ჯერ არ დასრულებულა, შეიძლება ხარჯთაღრიცხვა საერთოდ კიდეც გამართლდეს, მაგრამ შესაძლებელია შემოსავლის დაკლებაც, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია; ქალაქმა დიდი სესხი უნდა აიღოს, გამგეობას სურს, მითი ნაწილ-ნაწილად ისარგებლოს; ამიტომ გაძლევთ წინადადებას, გადადეთ მოხსენების განხილვა, რათა იგი უფრო დავასაბუთოთ.

**ხმ. პ. დოლუხანოვი** მოითხოვს მოხსენების უმთავრეს მუხლების განხილვას.

**ხმ. ბაბოვი** საბჭოს წინადადებას აძლევს, ნება დართოს გამგეობას ვექსილით 150,000 მ. სესხი აიღოს.

**ხმ. მიტკევიჩის** აზრით ქალაქის დეფიციტი მიმდინარე წლის ბოლოს 1.700,000 მ. მეტი იქნება. დასასრულს მოითხოვს მოხსენების განხილვის გადადებას შემოდგომამდე.

**ხმ. მაზმანოვი** თავ-გამოდებით თხოულობს საქმის ახლავე გამორკვევას. იგი საჭიროდ სთვლის დიდი სესხის აღებას, პროექტის შემუშავებას ქალაქის მთელის დეფიციტის დასაფარავად.

**ა. ი. ხატისოვი.** გამგეობა სწორედ იმ გზით მიდის, რომელსაც ხმოსნები უჩვენებენ (კითხულობს მოხსენების შესაფერს მუხლებს). სამწუხაროდ თითოეული გაუფრთხილებლად გადმოსროლილი სიტყვა უკვალოდ არა რჩება, ხვდება გაზეთებში და იწვევს დეპეშით შეკითხვებს სხვადასხვა ქალაქიდან. საჭიროა საქმის გამორკვევა სერიოზულად და მოხსენების გადადება შემოდგომამდე.

საბჭომ დაადგინა: მოხსენების განხილვა შემოდგომისთვის გადასდოს.

## ქუთაისის თავ.-აზნაურთა კრება

გვეგონა, 28 მაისი კენჭობიის დღე იქნებოდა, მაგრამ თითო—ოროლა კითხვა კვლავ აღიძრა და გაუთავებელი ლაპარაკი გამოიწვია. ღირს შესანიშნავი ამ კითხვათა შორის ორია-ერთი ლეჩხუმის მაზრის აზნაურობის შუამდგომლობა, რომ ბანკის მოგება გადაეცეს თავად-აზნაურობას და მეორე—სამეგრელოს მაზრების შუამდგომლობა, რომ უმაღლესი მთავრობის წინაშე აღიძრას შუამდგომლობა, რომ საკითხი სამეგრელოს თავად-აზნაურთა ღირსების გამოკვლევის შესახებ დაჩქარებული იყოს.

პირველი კითხვის შესახებ ორატორად გამოვიდა თ-დი ერმალოზ გელოვანი, რომელიც თუმცა ეცადა თავისი წინადადება დაესაბუთებინა, მაგრამ ვერ მოახერხა.

კიტა აბაშიძე წინააღმდეგი იყო წინადადებისა და აღნიშნა ის გარემოება, რომ ტფილისის თავად-აზნაურობისთვის მისგან მიღებული უფლება ნაძალადევიაო თ-დი გალიცინის მიერ გამოთხოვილი თავისთვის და მერე თავად-აზნაურობის მიერ მოპოვებული. „გარდა ამისა, სთქვა ბ-მა კიტა აბაშიძემ, თუ ტფილისში ქართველთათვის უცხო ელემენტის შიში არსებობდა, ჩვენ ამ მხრით უზრუნველყოფილი ვართ და რათ გვინდა ისეთი უფლება, რომელიც არც სულს არგებს არც გულსაო“.

**თ-დი ოთარ დადეშქელიანი.** წინადადება შემოტანილია მთელი ლეჩხუმის აზნაურობისაგან, დასაბუთება წინადადებისა მეტად მიმაჩნია, რადგან ამას დაუკავშირებენ სოციალისტურ, ეკონომიურ ეროვნულსა და სხვა მოსაზრებით. გთხოვთ წინადადებას კენჭი უყაროთ.

შესრულეს თ-დი დადეშქელიანის წინადადება და აღმოჩნდა მისი წინადადების მომხრე 52, წინააღმდეგი—63.

სამეგრელოს თავად-აზნაურობის შუამდგომლობა კრებამ ერთხმად შეიწყნარა და დაავალა ასარჩევ წინამძღოლს თავად-აზნაურობისას პირადათ იშუამდგომლოს უმაღლესი მთავრობის წინაშე სამეგრელოს თავად-აზნაურობის შესახებ.

თავად-აზნაურთა მაზრის მოსამსახურე პირნი და ბანკის რწმუნებულნი უკვე აირჩიეს.

მთელი ყურადღება მაზრის არჩევნების დროს მიიქცია ქუთაისის მაზრამ, სადაც წინამძღოლობაზე კენჭი იყარეს თ-მა დ. კ. ნიჟარაძემ და თ-მა დ. ო. ნიჟარაძემ. პირველმა მიიღო თეთრი—23 შავი—37, მეორემ თეთრი—37, შავი—18. ამნაირად ქუთაისის მაზრის წინამძღოლათ არჩეულია თ-დი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე.

სხვა მაზრებში, გარდა შორაპნისა, თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა; შორაპნის მაზრაში თავად-აზნაურთა წინამძღოლათ აირჩიეს თ-დი პეტრე წერეთელი.

რწმუნებულთა შორისაც დიდი ცვლილება არ მომხდარა, გარდა ქუთაისისა; აქ ცვლილება დიდი მოხდა და ამიტომ მოგვყავს სია ქუთაისის მაზრის რწმუნებულებისა.

არჩეული არიან:

თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, ღენერალი მ. ს. ჩხეიძე, თ-დი დ. ბ. ჩხეიძე, თ-დი ალ. მ. ლორთქიფანიძე, ვიკ. ქუთათელაძე, გენერალი შიო ელიავა, დ. ბ. მდივანი, თ-დი გიგო ერისთავი, თ-დი ი. გ. ნიჟარაძე, დ. ა. ლორთქიფანიძე, ისმაილ მესხი, ალ. ვ. ლორთქიფანიძე, თ-დი ბ. ალ. მიქელაძე, თ-დი ს. გ. მიქელაძე, გ. ლ. ქორქაშვილი, დავით კლდიაშვილი, ერმილე ლორთქიფანიძე, გრ. ს. ბარათაშვილი, გ. შ. ლასხიშვილი, და თ-დი აკაკი ნიჟარაძე; კანდიდატებათ: თ-დი დ. ა. მიქელაძე და ვ. ლ. ქორქაშვილი.

გუბერნიის თავად-აზნაურთა მოსამსახურე პირთა არჩევნები 29 მაისს მოხდება. როგორც ირკვევა, ყუთს დაიდგამენ თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, თ-დ ს. გ. წერეთელი და თ-დი ს. გ. წერეთელი.

## ახალციხის ამბები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსი კესლერი 15 მაისს მოვიდა და ორ დღეს დარჩა. დიდი პროცესიით სწირა ლათინისა და სომეხ კათოლიკეთა სამღვდელოების დახმარებით წმ. იოანეს ეკლესიაში. წირვაზე გალობდა ადგილობრივ კათოლიკეთა ყველა ეკლესიათა ქართული გუნდი, რაც ყველას მოსწონდა.

ახალციხის მაზრის ქართველ კათოლიკეთაგან მწყემსთმთავარს წარუდგა 14 წარმომადგენელი არზით, რომელიცთაც 10 ათასი სული კათოლიკეთა სახელით, სთხოვეს მას შუამდგომლობა რომის პაპის წინაშე, რათა რაც შეიძლება ჩქარა ჩამოაშოროს ესენი სომხის ტიბიკონს.

ბევრმა კერძო თხოვნებითაც მიმართეს და სთხოვეს, ახლად დაბადებული ბავშვები ლათინის წესზე მოენათლათ; ერთმა მათგანმა 6—7 წლის მოუნათლავი შვილიც მოიყვანა, თუ არ მომინათლავთ ლათინის წესით, სომხურ წესით მონათვლას მირჩევნიან თათრული წესით მოვნათლოვო.

ეპისკოპოსმა უპასუხებოთ ყველას უარი უთხრა მონათვლაზე და ურჩია მიემართნათ ს. კათოლიკეთა მმართველის ტერაბრამიანისათვის, ის თუ წინააღმდეგი არ იქნება, ლათინის წესით ნება გექნებათ მონათლოთო. ეპისკოპოსმა წარმომადგენლებს აღუთქვა, რომში შემოდგომაზე წავალ და ვეცდები თქვენი სურვილი დავაკმაყოფილოვო.

* * *

კვირას, 26 მაისს, ადგილობრივ ქართველ კათოლიკეთა წმ. იოანნეს ეკლესიაში მრავალი ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა წლის თავის წირვა ქართველთა საზოგადო მოღვაწის განსვენებულ მღ. ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი“-ს) სულის მოსახსენებლად; წირვის შემდგომ მის საფლავზე (ეკლესიის ეზოში) გადახდილ იქმნა პანაშვიდი. საფლავი მწვანით და ცოცხალი ყვავილებით მორთული იყო, რასაც დიდად ამშვენიერებდა მშვენიერ ჩარჩოში და ხელოვნურ გვირგვინით შემკობილი განსვენებულის ფოტოგრაფიული დიდი სურათი.

მწირველმა მამა სერაბიმე მერაბაშვილმა თუმცა მოკლედ, მაგრამ ლამაზი და ცოცხალის ენით დაასურათხატა განსვენებული მამა ივანეს 39 წლის განმავლობაში მისი მოძღვრობის ნაყოფიერი სამსახური და 23 წლის მწყემსობა წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. აუხსნა, რომ განსვენებული თითქმის ნახევარ საუკუნეს დაუცხრომლად მოღვაწეობდა და ემსახურებოდა ქართველ ერს. იგი სწერდა ძველ ქართ. ჟურნალ-გაზეთებში, მაგ., „დროებაში“, „ივერიაში“, „მწყემსში“, „კვალში“, „მოგზაურში“, აკაკის „კრებულში“, „ჯვარი ვაზში“, „ცნობის ფურცელში“ და სხ.

დასასრულ, მამა სერაბიმემ სთქვა: მამა ივანე გვარამაძე იყო, რომ 40 წლის წინედ პირველად გამოსთქვა ჩვენზე, სომხის ტიბიკონის ყველა ქართული ენის მოლაპარაკე კათოლიკენი ქართველები ვართო, ჩვენი დედა ენა ქართული ენააო და საქართველო ჩვენი სამშობლოაო. იმ დროს კი ჩვენ, დაჟინებით სომხად ვალიარებდით ჩვენს თავსო და სწორედ მამა ივანეს პროპაგანდაარ, რომ დღეს ჩვენ ქართველად ვიცანით ჩვენი თავიო. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, როდესაც განსვენებულმა გამოსთქვა ჩვენი ვინაობა—„ქართველობა“, მან იმ დროებში დიდი დევნა და შეწუხება გამოიარა. ამის გამო მღ. ი. გვარამაძე დაუვიწყარი უნდა იყოსო.

მოკეთე.

## ჩვენი სახალხო სკოლები

ბევრი თქმულა და დაწერილა სახალხო სკოლების შესახებ, მაგრამ ეს ხმა დარჩენილა ხმად მღაღადებისა უდაბნოსა შინა. ვიცი, რომ ესეცვე ბედი ეწევა ჩემს ხმასაც, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლიან უკუღმართობასა და უსამართლობას გულ-ხელ დაკრეფილი ვუცქირო. ჩემის აზრით, ნაკლის ხშირი მხილება სჯობია, ეგები თავი მოვაბეზროთ ვისაც ჯერ არს და ცოტა რამ გაკეთდეს დღევანდელ ჩვენს უკუღმართ ცხოვრებაში.

სამინისტრო და სამრევლო სკოლების დღევანდელი პროგრამა რომ არ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებას, ეს ყველასათვის ცხადია. ჩვენი ცხოვრება კი წინ მიდის, იგი სულ სხვა გვარ სკოლას თხოულობს და არა სქოლასტიურს, უშედეგოს, ეროვნების უარმყოფელს. ყველგან ჩვენს შეგნებულ საზოგადოებაში გაისმის ხმა: ჩვენი სახალხო სკოლები არავითარ პრაქტიკულ ცოდნას არ აძლევენ მოწაფეთ, რომ შემდეგ ცხოვრებაში გამოადგეთ, როგორც მაგალითად: მეურნეობა, ტეხნიკა, კომერცია, ხელოსნობა და სხვა... ახლა ვიკითხოთ: ასრულებს თუ არა იმ მიზანს სამრევლო და სამინისტრო სკოლები, რომელიც მათ დაუსახავთ? ესე იგი წერა-კითხვის სწავლება, ანგარიშში და მათი გავრცელება ხალხში. ამას რომ ჩვენი სახალხო სკოლები მაინც ასრულებდნენ კარგი დაგემართოთ. ბევრ სამრევლოსა და სამინისტრო სკოლაში წერა-კითხვის სწავლება ძალიან ცუდად სწარმოებს, სახმო წესით კითხვას არ ასწავლიან, ანგარიშის სწავლება მექანიკურად, უთვალსაჩინოდ სწარმოებს; სამშობლო ენის სწავლება აბუჩად არის აგდებული, სამშობლო ისტორია და გეოგრაფია განდევნილია ორ-ვე უწყების სკოლებიდან. დაკვირვებითი სწავლებას ანუ თვალსაჩინოს ხომ ამ სკოლებში ადგილი არა აქვს! ერთი სიტყვით მოსწავლე ათავებს ერთკლასიან და ორ-კლასიან სასწავლებელს და ისევ ჩათვლით კითხულობს ქართულსა და რუსულს. არ ესმის, რასაკვირველია, წაკითხულის შინაარსი, და არც გამოთქმითი კითხვა ეხერხება. ეს ჩვენი ორკლასიანი ყმაწვილები კურსის გათავების შემდეგ თავის ოჯახის კერას უბრუნდებიან და მამებთან ერთად მუშაობენ, ისევ ადამის დროინდელ იარაღით. არავითარი სამეურნეო ცოდნა მათ არა აქვთ, რომ ხალხში შეიტანონ; აგრეთვე კურსის გათავების შემდეგ ყოველნაირ კავშირს სწყვეტენ ეს ყმაწვილები სკოლასა და მათ ყოფილ მასწავლებელთან. წიგნებსა და გაზეთებს ვერც შოულობენ და არც მაინცა და მაინც ეტანებიან. ყველა ეს იმიტომ ხდება, რომ სქოლასტიურმა სკოლამ, მათ შეაძულა თვითონ სკოლა, მისი მასწავლებელი და წერა-კითხვა; ერთი სიტყვით, ჩაუკლა ენერგია თვითმოქმედებისა. მეორე მიზეზად ისიც უნდა აღვიაროთ, რომ სკოლა დაცილებულია ცხოვრებასა და ხალხს. მასწავლებელს კერ მოუხერხებია, რომ მტკიცე კავშირი შეკრას თავის ყოფილ მოწაფეებსა და მათ მშობლებთან.

ჩვენს სახალხო სკოლებში სალიტერატურო დილების გამართვა, მოწაფეთა მშობლების მოწვევა ასეთ დილებზე და ექსკურსიების მოწყობა ხომ მომაკვდინებელ ცოდვად არის მიჩნეული. ასეთი სალიტერატურო დილები კი დაუახლოვებს ხალხს სკოლას, შეაყვარებს ძათ, აღძრავს ბავშვებში და თვით ხალხში, სწავლა-განათლების სურვილს.

ექსკურსიებს რომ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა. ასეთ ექსკურსიების დროს მოწაფენი ეცნობიან ჩვენ სამშობლოს, ჩვენს ისტორიულ ნაშთებს, უვითარდებათ ცნობისმოყვარეობა, აზროვნება, თვითმოქმედებას ეჩვევიან, ეცნობიან თვალსაჩინო ზოოლოგიას, ბოტანიკას, მინერალოგიას, შემდეგ სკოლაში ასეთი საგნების გაკვეთილებზე ნათელი წარმოდგენა აქვთ ნახული საგნებისა. აუცილებლივ საჭიროა მოაწყონ ხოლმე ჩვენმა მასწავლებლებმა ასეთი ექსკურსიები.

სამინისტრო სკოლებზე უფრო მეტი ნაკლი სამრევლო საეკლესიო სკოლებს აქვთ, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტია ჩვენში. საქართველოში უმრავლესობა სამრევლო საეკლესიო სკოლებისა მოთავსებულია ეკლესიის გალავანში. ამ სკოლების შენობები უფრო ფაცხას წარმოადგენს, ვიდრე სახლს ან სასკოლო შენობას. ზოგან ასეთ სკოლებს სახურავი და იატაკი დამპალი აქვთ, ფანჯრები ჩამტვრეული ზამთარ-ზაფხულ, ბუხრები უვარგისი, რომლებშიაც ცეცხლი არ ინთება ზამთრობით და სიცივისაგან კანკალობენ მოსწავლენი და მასწავლებლები. კიდევაც რომ შეიძლებოდეს, ასეთ შენობების გათბობა, რითი უნდა გაათბონ? შეშას მათ არც სოფელი აძლევს, და არც სამასწავლებლო საბჭო იძლევა ამის ფულს.

(დასასრული იქნება)

**არისტ. რამინიშვილი.**

## წერილი ბაკოდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

26 მაისს დასრულდა სწავლა და გამოცდა წ.-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილების სკოლში. ამ სკოლაში წლეულს 70-დე ბავშვი სწავლობდა—ქალი [illegible]. როგორც გამოცდაზე აღმოჩნდა, ბავშვები სკოლის ოთხსავე განყოფილებაში მშვენივრად ყოფილან მომზადებულნი. დიდ ყურადღებას აქცევენ განსაკუთრებით ქართულ ენასა და ისტორიას და ამ საგნებში მართლაც უეჭველი წარმატება ეტყობა სკოლას. შემთხვევა გვქონდა გადაგვეთვალიერებინა ბავშვების თხზულებანი ქართულ ენასა და ისტორიაში და გაკვირვებულნი დავრჩით: პატარა, 8-12 წლის, ბავშვები ისე დალაგებით და აზრიანად სწერენ, რომ დიდსაც გაუჭირდება მათთან შეჯიბრება. ყოველივე ეს ნაყოფია მასწავლებელთა მუყაით შრომისა. წლეულს, იანვრიდან, სკოლას ახალი გამგე ჰყავს—ბ-ნი კაკაბაძე. ეტყობა, როგორც გამგეს, ისე მასწავლებელ ქალებს ქ-ნთ დიდიას მეუღლეს და ჩიხლაძის ასულს, შრომა არ დაუზოგავთ.

ქართული ენის გარდა მშვენივრად მომზადებულნი აღმოჩნდნენ რუსულ ენაშიაც. ამისი მოწმეა ის გარემოება, რომ მეოთხე განყოფილების ერთმა მოწაფემ, 11 წლის ბავშვმა, სრულიად მოუმზადებლად დაიჭირა ეგზამენი და მიღებულ იქმნა ქალთა გიმნაზიის მეორე კლასში.

28 მაისს, იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად, სკოლაში გაიმართა საბავშვო საღამო. ბავშვებს გარდა, დაესწრნენ მშობლები და გარეშე ქართველები. სკოლის გამგემ გააცნო დამსწრეთ განსვენებულ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. შემდეგ ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები და წარმოადგინეს პატარა სცენა „საბავშო ექიმთან“. ბავშვებისაგან შემდგარმა ხორომ, ბ-ნ ი. ქარუმიძის ლოტბარობით, შესრულა ყარაშვილის „სამშობლო“ და სხვა სიმღერები. სცენამ მხიარულად ჩაიარა. სიმღერები რამდენჯერმე გაამეორებინეს, ლექსებს ბავშვები შეფეროდ კითხულობდნენ. არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ ერთი გარემოება: ამ საღამოს წაკითხულ შვიდ ლექსიდან არც ერთი არა იყო საბავშვო. შვიდივე ლექსი გოგებაშვილის გარდაცვალების გამო დაწერილი. საკმაო იყო ამსაგანზე ერთი ან ორი ლექსი, დანარჩენი იგავ-არაკები და სხვა საბავშვო ლექსები უნდა ყოფილიყო, რასაც უფრო ადვილად მისწვდება ბავშვის გონება და რაც უფრო შეეფერება მისს ბუნებას.

მკითხველებს, ალბად, მოეხსენებათ, რომ წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებასთან არსებობს ქართველ ქალთა წრე. დღემდე წრე ფულს აგროვებდა, ეხლა კი წრემ გადასწყვიტა შემოდგომიდან დაარსოს ქართულ სკოლასთან პროფესიონალური განყოფილება ქალთათვის. ასწავლიან ჭრა-კერვას და სხვა და სხვა ხელ-საქმეს. განყოფილებაში მიიღებენ ქალებს 12 წლიდან.

სკოლის შენობის გაფართოვების საქმე ჯერ-ჯერობით შეფერხებულია. მიზეზი ადგილობრივ კათოლიკეთა კოლონიაა. ის ადგილი, რომელიც ქალაქის თვითმმართველობამ წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას დაუთმო, წინად კათოლიკეთა კოლონიის ეკლესიასა და სკოლას ეჭირა. ნახევარი ადგილი დღესაც კოლონიას უჭირავს, რადგან ახალ ადგილზე ეკლესიის შენობა ჯერ არ დაუმთავრებიათ და ამ მიზეზით ვერ გადასულან. კოლონია თანახმაა დასცალოს ადგილი, თუ წ.-კ. საზოგადოების განყოფილება შეიძენს მის შენობებს ამ ადგილზე, მაგრამ შენობებს იგი ისე ძვირად აფასებს, რომ განყოფილებას ხელსაყრელად არ მიაჩნია მათი შეძენა. განყოფილების გამგეობას აზრად აქვს ააგოს ბინები მასწავლებელთათვის, სათეატრო დარბაზი და ეკლესია. ნაწილი ფულისა უკვე შეკრებილია, მაგრამ ზემოხსენებულ მიზეზისა გამო საქმისათვის ხელი ვერ მოუკიდნია.

## პატარა ფელეტონი

### დიდებული აზრი

ამ დღეებში ერთობ საინტერესო და საყურადღებო ამბავი წავიკითხე რუსულ გაზეთებში.

არ იფიქროთ, რამე არა ჩვეულებრივი იყოს. არა, ჯერ ერთი, რომელების თქმისა არ იყოს, მზის ქვეშ ახალი არაფერია, მეორეც ის, რომ რუსეთში ამგვარი ამბავი ხშირია და, პირიქით, გასაკვირველი და არა-ჩვეულებრივი წინააღმდეგი მოვლენა იქნებოდა...

მიუხედავად ამისა, ამბავი მაინც ღირს მოსათხრობად და მეც დაწვრილებით გადმოგცემთ.

ვიღაც მურანოვს განუზრახავს გროდნოში გაზეთის გამოცემა და, როგორც კანონი მოითხოვს, ეს გარემოება გუბერნატორისთვის უცნობებია. გადის კანონით დაწესებული ვადა და მურანოვს სათანადო მოწმობის მაგიერ უარის ქაღალდი მიუღია —გაზეთის გამოცემის ნება არა გაქვსო.

მურანოვი მეორე დღესვე გუბერნატორის წინაშე წარსდგა და მოწიწებით შეეკითხა:

— რატომ, თქვენო აღმატებულებავ? რატომ არ მიბოძეთ მოწმობა?..

— არ შემიძლიან... თქვენ არა გაქვთ გაზეთის გამოცემის უფლება?

— რა მიზეზით, ან რომელი კანონის ძალით, ბატონო?

— თქვენ პოლიტიკურად არა კეთილსაიმედო ბრძანდებულხართ...

— მაგრამ, კანონში რომ არაფერია მაგის შესახებ? იქ არავითარი განსხვავება არაა კეთილსაიმედოთა და არა კეთილსაიმედოთა შორის...

— ეს ჩემი საქმეა!—ენერგიულად მოუჭრა სიტყვა გუბერნატორმა და მურანოვიც გარედ უნდა გაბრძანებულიყო. მაგრამ, თავის სიმართლეში იმდენად დარწმუნებული იყო, რომ სენატს მიჰმართა საჩივრით. სენატმა აილო-დაილო, თურმე, საჩივარი და რაკი დარწმუნდა, რომ ვერა გზით „განმარტებას“ ვერ იპოვიდა საჩივრის გასაბათილებლად, გუბერნატორს შეეკითხა—რა საბუთით არ მიეცით ნება მურანოვს გაზეთი გამოეცა. გუბერნატორს ამის საპასუხოთ მიუწერია: მურანოვი პოლიტიკურად არა კეთილსაიმედო არის; მე პასუხისმგებლობას ვერ ვკისრებ და მაგისთანას გამოცემის უფლებას ვერ მივცემო.

სამწუხაროდ, არ ვიცი, როგორ მიეგება სენატი ასეთს შესანიშნავ პასუხს. გუბერნატორი სწერს უმაღლეს დაწესებულებას, რომლის ვალია კანონის ასრულებას თვალ-ყური ადევნოს, კანონიერების მტკიცე დამცველი იყოს,—ვერ ვკისრებ პასუხისმგებლობას კანონის ასრულებითაო. ასეთი პასუხი, მართალია, ყველგან სხვა ადგილას, სხვა ქვეყანაში საყოველთაო გაოცებას გამოიწვევდა; მაგრამ რუსეთში, „მოულოდნელ შესაძლებლობათა ქვეყანაში“ არც ეს პასუხი გაუკვირდება ვისმე, ხოლო პირადათ მე, იმ ამბის გაგონებაზე, დიდებული აზრი დამებადა, რომელიც უთუოდ უნდა გაგიზიაროთ.

რა საჭიროა კანონი, საკანონმდებლო დაწესებულება? გავიფიქრე. რათ იხარჯება აუარებელი ფული სათათბიროს, საბჭოს, სენატის შესანახად? რათაა საჭირო ამდენი დავიდარაბა მრავალ კანონების გამოსაცემად? უმჯობესია, ყველაფერი ეს მოისპოს და გუბერნატორების ნებაყოფლობას მივენდოთ. გუბერნატორი ხომ ყველგან არის; ყველა გუბერნატორი ხომ განათლებულია; მარტო გროდნოს გუბერნატორის უნარი ხომ არ არის—იმის გარჩევა მოახერხოს, რის პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლიან? თუ-კი ასეა, რაღად გვინდა ის ვეებერთელა მექანიზმი, რომელიც საჭიროა კანონების გამოსაცემად? ბოლოს და ბოლოს ისევ გუბერნატორის ნებაზე არაა—აასრულებს თუ არა კანონს —და თუ ასეა, არა სჯობია იმისივე ნებაყოფლობა იყოს კანონად?! უფრო იაფადაც დაჯდება და მშვიდობიანობა, კაცთა შორის სათნოებაც მაშინ უფრო დაგვიდგება, ვიდრე ეხლა, როცა ათასნაირი კანონი გვაქვს, რომელთა განმარტებისა და ასრულების ნება ისევ გუბერნატორს ეკუთვნის.

თუ ეს დიდებული აზრი არაა, ღმერთმა შეარცხვინოს თქვენი და ჩემი მტერიცა...

**ესიკელაშ კვაჭანტირაძე.**

# ირლანდიის ავტონომია და ოლსტერის ამბოხება

ინგლისის საზოგადოებათა პალატამ ხელმეორედ დაიწყო ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტის განხილვა, რომელიც შარშან, პირველ წაკითხვის დროს, დიდი უმრავლესობით მიიღეს. როგორც კი განახლდა ჰომრულის შესახებ ბაასი, უნიონისტების პარტიაც შეიძრა და ძველებურად ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობასა და პალატის უმრავლესობას. ხსენებული პარტია წინააღმდეგია ირლანდიის ავტონომიისა. მთავრობის უმრავლესობის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი ემყარება ირლანდიის ერთი ოლქის, ოლსტერის, მცხოვრებთა უკმაყოფილებას. საქმე ისაა, რომ ოლსტერის ოლქის მცხოვრებნი ინგლისელები არიან, რომლებიც ერთ დროს მთავრობამ დაასახლა ირლანდიის მიწაწყალზე ირლანდიის მოძრაობის საწინააღმდეგოდ. მთავრობამ დაურიგა მათ დიდძალი მამულები და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა ინგლისელების ახალშენების დამკვიდრებას ირლანდიაში, რადგან მაშინდელ კონსერვატულ მთავრობის პოლიტიკა მხოლოდ ასეთი მოქმედებით ჰფიქრობდა ირლანდიელთა ეროვნული მოძრაობის განელებას., ეს ნაძალადევი ახალშენები, რასაკვირველია, მუდამ ერთგული ამსრულებელი იყვნენ მთავრობის განზრახვისა. როდესაც კი აღიძვროდა ლაპარაკი ირლანდიის ეროვნულ მოთხოვნილებაზე, მთავრობა და საზოგადოების კონსერვატული ელემენტები ყოველთვის ამ ახალშენებს მიუთითებდნენ ხოლმე: აი თვით ირლანდიის მკვიდრნი ეწინააღმდეგებიან ჰომრულის განხორციელებასო. მაგრამ დრო გამოიცვალა და ინგლისის მთავრობაც ირლანდიის საკითხში სულ სხვა პოლიტიკის გზას დაადგა. ასკვიტის ლიბერალურმა სამინისტრომ თეორიულ მსჯელობის სფეროდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადაიტანა ეს საკითხი და ჰომრულის განხორციელება მორიგ საკითხთა სიაში შეიტანა. შარშან, როგორც მოვიხსენეთ, საზოგადოებათა პალატამ მიიღო ირლანდიის ავტონომიის კანონ-პროექტი. უნიონისტები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობას, რომელსაც ოლსტერელების აჯანყებით აშინებდნენ. წრეულსაც იგივე განმეორდა. ჰომრულის ბილის მეორედ კითხვის დროს, უნიონისტთა პარტიის ბელადმა ბონარ ლოუმ განაცხადა: მთავრობის განზრახვას განხორციელება არ ეღირსება. მისი უღიერობა მანამდე იარსებებს, სანამ წინააღმდეგობა არ დაიბადება. მაგრამ გამოჩნდება თუ არა მოწინააღმდეგე, ტირანიაც დაემხობა. პალატის ოპოზიციონერებს ხმა მისცეს მათმა თანამოაზრეებმაც გარედან. კორკში უნიონისტების დიდ მიტინგზე მინისტრად ნამყოფმა ლიტლტონმა მთავრობის შინაურ პოლიტიკის წინააღმდეგ მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა. იგი პირდაპირ ემუქრებოდა მთავრობას: თუ ჰომრული კანონად იქცა, სამოქალაქო ომი აუცილებელიაო და თან დასძინა: ბევრი აფიცერი და ჯარისკაცი უარს იტყვის აჯანყებულ ოლსტერელების წინააღმდეგ იარაღის ხმარებაზეო. ამნაირად უნიონისტები პალატასა და პალატის გარეშე, აგრეთვე თვით ოლსტერის ოლქში მხნე პროპაგანდას ეწევიან ირლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ. თუმცა ინგლისის საზოგადოებას იმდენად აღარ აფრთხობს კონსერვატორების უშინაარსო მუქარა ახლა, ვიდრე წინად, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთმა ამბავმა კვლავ გაადვიძა ინტერესი უნიონისტების მოქმედებისადმი. 21 მაისს ბელფასტის საბაჟოს მოხელეებმა უსახელო წერილი მიიღეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ის ტვირთი, რომელსაც „ელექტრონის მანქანა“ აწერია, ნამდვილად იარაღს შეიცავსო. მოხელეებმა მაშინვე გახსნეს ყუთები და 1000 ჩქარსროლელი თოფი აღმოაჩინეს. ეს იარაღი უსახელოდ ყოფილა მანჩესტერიდან ოლსტერის ოლქისთვის გაგზავნილი. კონსერვატულმა პრესამ დიდად გაჰბერა ეს ამბავი და ქვეყანას აუწყა, რომ ოლსტერის ოლქის მცხოვრებნი საომრად ემზადებიანო. ხოლო ლიბერალების პრესის უმეტესი ნაწილი ირონიული ღიმილით მიეგება ამ ამბავს და გულუბრყვილო დემონსტრაციად სთვლის მას. მათი აზრით, იარაღის გამგზავნი წინდაწინვე დარწმუნებული იყო, რომ ტვირთი დანიშნულ ადგილას ვერ მიაღწევდა, მას მხოლოდ შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ ესეც ვერ აუსრულდათ. ცხადია, ბელფასტის კომედია უნიონისტების მოწყობილია და სარჩულად ისევ ის ძველი განზრახვა უდევს, რომლითაც მათი ძველები ხელმძღვანელობდნენ ხოლმე ირლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მაგრამ ასეთი ხერხიც მეტად გახუნებულია სადღეისოდ. მთავრობამ და ინგლისის მოწინავე საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ოლსტერის ოლქის მცხოვრებთა სურვილი მთელი ირლანდიის სურვილად ვერ ჩაითვლება და ამიტომაც მხნედ განაგრძობს თავის სამართლიან პოლიტიკას დამონებულ ერის უფლებათა აღსადგენად. ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისის პალატა მეორედ წაკითხვის შემდეგაც დიდი უმრავლესობით მიიღებს ჰომრულის ბილს, რის შემდეგაც იგი ლორდთა პალატას წარედგინება. თუ ლორდთა პალატამ უარჰყო იგი, რაც ადვილად მოსალოდნელია, მაშინ მეფე ისარგებლებს ზედა პალატის უფლების შეკვეცით, რომელიც შარშან მოხდა, და ორი წლის შემდეგ ირლანდიის ჰომრულის ბილი კანონად გადაიქცევა. **კოლხი.**

# მოსკოვის სამხატვრო თეატრი

(გასტროლები ოდესაში).

1.

გასწყდა მშვენიერი და სიყვარულით აღსავსე კავშირი,—კავშირი, რომელიც სუფევდა სევდა-კაეშნის მგოსნის ა. ჩეხოვისა და მოსკოვის სამხატვრო თეატრის შორის. ცხრა წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც წუთი სოფელს გამოესალმა ჩეხოვი. მაგრამ თანდათან ვითარდება, მეტს ყურადღებას იპყრობს ის თეატრი, რომელიც სევდისა და მშვენიერების ემბლემას—ღედამთვრალას —ატარებს.

ღირსებისამებრ ატარებს ამ ემბლემას სამხატვრო თეატრი. ამ თეატრმა შესთავაზა რუსეთის საზოგადოებას ჯერედ უცნობი მშვენიერება, ჯერედ განუცდელი აღფრთოვანება. სადღაც, წყნარი ტბის პირას სცხოვრობდა ნაზი, მთრთოლვარე, ტანჯვის გვირგვინით შემკული ნინა ზარეჩნაია... მისი ცხოვრება მოგვითხრო განსაკუთრებულის მადლით ცხებულმა მგოსანმა. ვერ შეისმინა საზოგადოებამ მგოსნის გულის ტკივილი, სრულის გულგრილობით უპასუხა საზოგადოებამ ჩეხოვის პიესა „Чайка“-ს. მაგრამ... აიხადა ფარდა! სამხატვრო თეატრმა ნათელჰყო ის საუნჯე, რომელიც დაფარული იყო ამ პიესაში. ვით საოცნებო ქანდაკებამ, თვალი მოსჭრა, გრძნობა დაიმორჩილა სევდისა და სიკეკლუცის შარავანდედით მოსილმა, ფრთამოკვეცილმა ჩეხოვის „Чайка“-მ...

მოსკოვის სამხატვრო თეატრი სრულის ღირსებით ატარებს თავის ემბლემას...

—

„ეს იყო 22 ივნისს 1897 წელს,— სწერს სამხატვრო თეატრის შემატიანე ნ. ეფროსი:—მოსკოვის რესტორანის „Славянскій базаръ“-ის ცალკე ოთახში გატაცებით ბაასობდა ორი ვაჟკაცი. ერთი მათგანი მეტად მაღალი ტანისა იყო, თოვლსავით თეთრი თმა ამშვენებდა მის ახალგაზდულს, სიცოცხლით აღსავსე სახეს. აღგზნებული თვალები, შავი ულვაშები, რომელნიც ჰფარავდნენ სპეტაკს, თითქოს მოკრძალებითს მისს თითქმის ბავშვურს ღიმილს. მეორე შუა ტანისა იყო, გამჭვირვალე თვალებით, მშვენიერის, გულმოდგინედ შუაზე გადავარცხნილ წაბლის ფერ წვერით. თეორიულ კამათს თან მოსდევდა სხვა და სხვა გვარი გამოანგარიშება, კვლავ პრინციპების სამყარო... იკვლევდნენ ხელოვნების წარსულს და მომავალს“...

თქვენ უკვე მიხვდით: ეს იყო კ. სტანისლავსკი და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო. აი, აქ—ამ განმარტოვებულს, მოქეიფეთა ლანძღვანდრობას, არღნის ქუჩურ ჰანგებს ჩამოშორებულს სარესტორანო ოთახში ჩაისახა სამხატვრო თეატრი. სულ სხვა გვარ რეჟისურას ნატრობდა კ. სტანისლავსკი, სულ სხვა გვარი რეპერტუარი შეადგენდა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს საოცნებო საგანს.. თანდათანობით, ერთ წლის განმავლობაში შეიმუშავეს მათ საკუთარი თეატრის გეგმა, მისი რეპერტუარი, მისი საერთო წყობილება.

საღამო 14 ოქტომბერს 1898 წ. ისტორიული საღამოა რუსეთის თეატრის ცხოვრებაში. ამ საღამოს სამხატვრო თეატრმა პირველი საჯარო ნაბიჯი გადადგა. თამაშობდნენ ა. ტოლსტოის პიესას: „Царь Θеодоръ Іоанновичъ“. „ერმიტაჟის“ გრძელი დარბაზი „სრულიად მოსკოვის“ საზოგადოებით ვაივსო. მაგრამ თანამგრძნობი ნაკლები ჰყავდა თეატრს მაყურებელთა შორის. უმრავლობა განსაკუთრებულის გულმოდგინეობით აღნუსხავდა ყოველ ნაკლოვანებას, ყოველს უნებლიეთ შეცდომას ახალი თეატრის მესვეურთა.

ამ დროს ფარდის იქით, კულისებში ყველას შიში ზარი დაეცა. ყველა თრთოდა, ვაი თუ ბედმა გვიმტყუნოსო.

„როდესაც მუსიკამ ამ წარმოდგენისათვის ილინსკის მიერ შეთხზული უვერტიურა დაუკრა,—განაგრძობს ნ. ეფროსი,—კ. სტანისლავსკიმ ცეკვა დაიწყო სცენაზე. ამ ცეკვით უნდოდა მას ოდნავ მაინც შვება მიეცა სასომიხდილთათვის, მეტი მხნეობა და გამბედაობა გამოეწვია. მაგრამ, მგონია, სტანისლავსკიმ უფრო დასცა საერთო სულიერი განწყობილება, ვინაიდან თვით სტანისლავსკი სუდარასავით გაფითრებული იყო... კულისებში შემდეგ ამ ცეკვას „Danse macabre“ უწოდეს. მოცეკვავეს უნდოდა ეთქვა, აი, რა მხიარულად ვეგებები საღამოს, ტყუილად მოღუშულხართ ყველანი, უსაფუძვლოა თქვენი შიში. მაგრამ თვითონ ციებ-ცხელებით შეპყრობილსავით ცახცახებდა“...

ნორჩი თეატრის მესვეურთა შიში ამაო გამოდგა. პიესამ ღირსეული შთაბეჭდილება მოახდინა. ძნელი იყო, მეტად ძნელი, რომ საზოგადოებას აღეარებინა ახალგზარდა ნიჭის სიძლიერე, მაგრამ თეატრმა პირველი გამარჯვება იგემა. ეს გამარჯვება მიანიჭა თეატრს იმ დროს ახალგაზრდა მსახიობმა მოსკვინმა, რომელსაც მეფე თეოდორეს როლი ჰქონდა დაკისრებული.

პირველი გამარჯვებით გამხნევებული, ბრწყინვალე მომავლის იმედით გატაცებული თეატრი ახალი პიესის მზადებას შეუდგა. ეს იყო ა. ჩეხოვის პიესა „Чайка“, რომელიც, ეს-ეს იყო, მარცხით დასრულდა ალექსანდრეს სახელობის თეატრში მიუხედავად იმისა, რომ უმთავრეს როლს ვ. კომისარჟევსკაია ასრულებდა. სამხატვრო თეატრის მსახიობთა კრძალვას ზედ დაერთო შიში, ვაი თუ პიესის დამარცხებამ ცუდად იმოქმედოს ჩეხოვზეო, რომელიც ამ დროს ავად იყო.

17 დეკემბერს 1898 წ., სამხატვრო თეატრმა დასდგა ჩეხოვის „Чайка“.

„როგორ ვთამაშობდით იმ საღამოს ან რას ვამბობდით,—ამბობს კ. სტანისლავსკი,—არავის გვახსოვს. ფეხზე ძლივს ვიდექით. ყოველი ჩვენგანი ერთის სურვილით, გამარჯვების სურვილით, იყო გატაცებული, რადგანაც ამ გამარჯვებაზე თვით მგოსნის სიცოცხლის საკითხი იყო დამყარებული.“..

დაეშვა ფარდა. დარბაზი სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა. ყველას ცივმა ოფლმა დაგვასხა. მსახიობს ქ-ნ კნიპერს გული შეუწუხდა, სოქსანოვმა ტირილი დაიწყო. გულჩათხრობილებმა, დამარცხებულებმა და სასომიხდილებმა საპირფარეშოებს მივაშურეთ... მაგრამ უეცრად ამოძრავდა მთელი დარბაზი, ერთსულოვანმა აღტაცებამ მოიცვა იგი. იგრიალა ტაშმა. დარბაზი გამოერკვია ნახულ-განცდილისაგან და სიჩუმე, რომელიც ჩვენ ასე უმართებულოდ განვმარტეთ კულისებში, აღტაცების მძლავრი ტალღებით შეიცვალა. ამ ჟამად ჩემთვის უეჭველია ის, რომ იმ საღამოს პირველი მოქმედების პირველ გამოსვლისთანავე დავიმორჩილეთ მაყურებელი, მაგრამ იგი ჯერ ყოყმანში იყო. საჭირო იყო ისეთი რამე, რაიც განსაკუთრებულის ძალით იმოქმედებდა მასზე, საჭირო იყო უცნაური მომჯადოვებელი ძალა, რომელიც სრულიად დაიპყრობდა მას. და ეს უკანასკნელი მომქმედი ძალა შემოიტანა მსახიობმა ქ-ნ ლილინამ, რომელიც მაშოს როლს ასრულებდა, თავისი უკანასკნელი სიტყვებით, თავისი უკანასკნელი ცრემლებით, რომელთანაც ერთად იგი უმწეოდ სასომიხდილი დაეცა ბაღში დადგმულ სკამზე. ამ წუთმა საბოლოოდ გადასწყვიტა პიესის და საერთოდ ა. ჩეხოვის სასცენო ბედი“...

უკანასკნელმა გამარჯვებამ სავსებით გამოარკვია, შუქი მოჰფინა სამხატვრო თეატრის მანამდე დაფარულს ჭეშმარიტ სახეს. ამ გამარჯვებამ გადახსნა გული თეატრისა და მასში შთანერგა ის შინაარსი, რომელიც თეატრმა თანდათანობითი მსვლელობის დროს გააცნო რუსეთის ინტელიგენციას. დაუცხრომელის ენერგიის, ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი სიყვარულის, განუწყვეტელი თვითგანვითარების მეოხებით სამხატვრო თეატრმა მიიზიდა რუსეთის ინტელიგენცია, შეაყვარა თავი და შემდეგი მისი არსებობა უკვე ტრიუმფატორის მსვლელობაა არჩეულის ბილიკით. ორის მხრით სწარმოებს ეს მსვლელობა. თეატრი აღრმავებს, აფართოვებს თავის მხატვრულ შინაარს, იგი ცდილობს შექმნას ის სულიერი განწყობილება, რომელიც აუცილებლად საჭიროა პიესის გმირთა სულისკვეთების განცდისათვის, იგი ნაზი, მოსიყვარულე და მთრთოლვარე ხელით ეხება პიესის საუნჯეთა სიღრმეს. ხოლო მეორეს მხრით, თეატრი განუწყვეტლივ უზიარებს თავის ახალ პრინციპებს მის მიერ შემოკრებილ არტისტულ ძალებს; იგი ცდილობს აგემოს, აგრძნობინოს და გაამახვილოს თავის ქურუმთა წრე. მარტოოდენ ამ ორ ძალთა შეთანხმებას, თითქმის სრულს ჰარმონიას ძალუძს შეჰქმნას ჭეშმარიტად ხელოვნებით აღსავსე წყება ტიპებისა და საერთო სურათებისა. მხოლოდ თავდადებულის, შეთანხმებულის მუშაობის მეოხებით შესძლო სამხატვრო თეატრმა სულ სხვა მხრივ გაეცნო საზოგადოებისათვის სხვადასხვა სკოლის და მიმართულების ავტორთა ნაწარმოებნი. 15 წლის განმავლობაში, განუწყვეტელ კვლევა-ძიებაში, დაუღალავ წინსვლელობაში მოსკოვის სამხატვრო თეატრმა წარმოადგინა „მეფე თეოდორე“ „ანტიგონა“, ა. ჩეხოვის პიესები, გოგოლის „რევიზორი“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ანდრეევი, მეტერლინკი, შექსპირის „ჰამლეტი“, ოსტროვსკი, ტურგენიევი, კ. ჰამსუნი, მოლიერი, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, და სხვ. თქვენ ხედავთ, რამდენად სხვა და სხვაა თეატრის მიერ არჩეულ მწერალთა მიმართულება, რამდენად განსხვავდება მათ მიერ შექმნილი პიროვნებები ერთმანეთისაგან. მაგრამ ამ სხვადასხვაობაში თეატრი ყოველთვის ეძიებდა მხატვრულს, ჭეშმარიტს ხელოვნებას. თეატრის გარეშემოკრებილი მესვეურთა მოქნილი, სხლარტი ნიჭი ჰქმნიდა სრულიად სხვა და სხვა, ხშირად მოპირდაპირე ტიპებს, რომელთაც ერთი ბეჭედი აზის - ბეჭედი უცილობელ სიმართლის, ღადრესი ხელოვნების და ღრმა, ძლიერი ნიჭისა.

თითქმის ყოველი ახალი წარმოდგენა ხელოვნების დღესასწაული იყო მოსკოვის თეატრისათვის, რომელსაც დაიბუდა კამერგერის ქუჩაზე. მოსკოვია მოწმე თეატრის განვითარებისა და გამარჯვებისა, მოსკოვში გაითქვა სახელი სამხატვრო თეატრმა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საზღვარ-გარეთის და პეტერბურგის გასტროლებს. პროვინციამ მარტოოდენ სხვათა სიტყვით იცოდა თეატრის ბედ-იღბალი, სხვათა სიტყვით იცნობდა მის სამხატვრო ღირსებას. მარტოოდენ უკანასკნელ წლებში ესტუმრა მოსკოვის სამხატვრო თეატრი პროვინციას—შარშან კიევს, წელს კი—ოდესას. საკუთარი დეკორაციები, საკუთარი ბუტაფორია, საკუთარი მუშები, საკუთარი ტანსაცმელი, საკუთარი მსახიობნი—დიახ, საკუთარი მსახიობნი, —ყველა ეს ჩვენს განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობს. ჩვენ ვერ ვნახავთ მოლიერის „იქვიმ ავადმყოფს“, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თეატრის მოყვარულთა წრეებში, ვერ ვნახავთ „ჰამლეტს“, რომელსაც ეგოდენი ენერგია დაახარჯეს სამხატვრო თეატრის მესვეურებმა, ვერ ვნახავთ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. მაგრამ იმას, რაც განზრახულია წარმოსადგენად აქ, ოდესაში,—იმასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

განსაკუთრებულის სასოებით, თრთოლვით და მოკრძალებით მივეშურები საქალაქო თეატრისაკენ, სადაც ხელოვნების ქურუმებმა თავისი ჯადოსნური ფარდა უნდა აჰხადონ ხელოვნებას...

**პ. დადვაძე.**

# მუშათა ცხოვრება

✦ გაზეთები აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მუშათა მოძრაობა რუსეთში ძლიერ განვითარდა. იზრდება პროფესიონალური კავშირების მუშაობა, არსდება მუშათა ორგანოები, ხშირდება გაფიცვები. გასული წელი გაფიცვების სიძლიერით და რიცხვით უდრის 1906 წელს, ხოლო ფიქრობენ, რომ მდგომარე წელი შეედრება 1905 წელს.

✦ პეტერბურგში ვაისბერგის და გერშუნის სტამბის მუშებმა დაადგინეს: ვინაიდან სტამბაში ბევრი შტრეიკბრეხერი მუშაობს, ამიტომ გაფიცვა შეწყვიტონ, სტამბების პატრონებმა გადასწყვიტეს გაფიცულთაგ ნი არავინ მიიღონ უკან, სხვებს კი დაუკლონ ხელფასი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია შტრეიკბრეხერთა შორის.

✦ საფაბრიკო და სამთო საქმეთა უმთავრესმა საკრებულომ გამოსცა შემდეგი საყურადღებო განმარტება: 1912 წლის 23 ივნისის კანონის ძალით, ყოველი მუშა, რომელიც ირიცხება საავადმყოფო კასის წევრად, ვალდებულია იხადოს ხვედრი ფული კასის საშუალებათა შესადგენად და ეს ფული უნდა დაუჭიროს წარმოების პატრონმა ხელფასის მიცემის დროს. რადგან მუშის ყოველივე ანგარიში უნდა ინიშნებოდეს მის ჯამაგირის წიგნაკში, ამიტომ ხსენებული სასახო გადასახადიც უნდა ჩაიწეროს წიგნაკში მისი რაოდენობისა და დანიშნულების აღნიშვნით“. ეს განმარტება უკვე დაამტკიცა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა.

✦ ხერსონში დანიშნული იყო მუშების კრება საავადმყოფო კასების საკითხის გასაცნობად. მუშების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა კრებას.

✦ ბალტიის ქარხანამ გამოუცხადა გაფიცულ მუშებს, რომ 2 ივნისამდე ჩაიბარონ ანგარიში. ამის შემდეგ ფოსტით ჩააბარებენ ყველას ფულს.

✦ 26 მაისს დღესასწაულისა გამო პეტერბურგის მუშებმა ექსკურსია გამართეს სხვა და სხვა საყურადღებო ადგილების დასათვალიერებლად: ხეზე მომუშავეთა პროფესიონალურმა საზოგადოებამ დაათვალიერა სამთო ინსტიტუტი და ბოტანიკური ბაღი, მბეჭდავ მუშების პროფესიონალურმა საზოგადოებამ—ერმიტაჟი (სამხატვრო მუზეუმი).

✦ პეტერბურგის ნოქრებმა კრება გამართეს მოსალაპარაკებლად მთელი რუსეთის ნოქართა მომავალი კრების შესახებ. კრებამ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ებრაელ ნოქრებს ნება არ მისცეს კრებაზე დასწრებისა.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ჭიათურა და ზესტაფონი.** შაბათს, 1 ივნისს, დაბა ჭიათურაში და კვირას, 2 ივნისს დ. ზესტაფონში ქართველ ახალგაზრდა მგოსანთა ჯგუფი ლექტორ დ. კასრაძის მონაწილეობით გამართავს სალიტერატურო საღამოებს შემდეგის პროგრამით: 1) ბ-ნი დ. კასრაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე: **„საქართველოს ოქროს ხანა“** (თამარ მეფე და მისი მეხოტბენი შოთა რუსთაველი, შავთელი და ჩახრუხაძე); 2) ახალგაზრდა მგოსანი **ალ. აბაშელი, ბ. ახოსპირელი, ვ. რუხაძე** და **გ. ქუჩიშვილი** წაიკითხავენ თავის ნაწარმოებთ. თარის დამკვრელი ბ-ნი **ი. სალირაშვილი** დაუკრავს სხვა და სხვა ჰანგებს. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

—

**ს. ალაგირი** (თერგის ოლქი). ხუთშაბათს, 23 მაისს, მსახიობ ნ. გვარაძის მონაწილეობით და რეჟისორობით გაიმართა მეორე წარმოდგენა. ითამაშეს: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ჭკუისა მჭირს“ ა. ცაგარლისა. პიესებმა მხიარულად ჩაიარა და ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია თვით მსახიობის ნ. გვარაძის საბენეფისოდ. დასდგამენ „ცხოვრების გმირს“ და „დავის“ მესამე მოქ. დიდ მადლობას ვუძღვნით როგორც ბ-ნ გვარაძეს, აგრეთვე ბ.ბ. სოლომონ ბუქ. მეტრეველს, ალ. გრ. სხირტლაძეს, და ნინო დავითის ასულს დოკვაძისას, წარმოდგენაში მხურვალე მონაწილეობისათვის.

**პეტრე მეტრეველი.**

# რუსეთი

**პოლიცია კადეტთა ფრაქციის სადგომში.**

26 მაისს კადეტთა საპარლამენტო ფრაქციამ სხდომა გამართა. სხდომას მიწვეული პირნიც დაესწრნენ. მილიუკოვი კითხულობდა მოხსენებას კადეტთა ფრაქციის მოქმედების თაობაზე გასულ სესიაში. მოხსენების კითხვის დროს სხდომაზე შევიდა პოლიცია, ჩაწერა ყველა მონაწილე კრებისა დ წინადადება მისცა სხდომა შეეწყვეტინათ. მოხსენების კითხვა შესწყდა. მიწვეული პირნი დაიშალნენ. ფრაქციამ მაშინათვე თათბირი გამართა მომხდარ ინციდენტის გამო. გადასწყვიტეს მიჰმართონ სათათბიროს თავმჯდომარეს და მიუთითონ, თუ როგორ არის შევიწროვებული ფრაქცია თავის ჩვეულებრივ მოქმედებაში. ამასთანავე დაადგინეს აცნობონ მომხდარი ამბავი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

ამბობენ, პეტერბურგის ადმინისტრაციას მოლაპარაკება ჰქონდა გამართული მინისტრ მაკლაკოვთან, რის შედეგიც იყო პოლიციის მისვლა კადეტთა ფრაქციის სადგომში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დაწვრილებით ეცნობა 26 მაისს მომხდარი ამბავი. როგორც კოკოვცევის მახლობელი პირნი ამბობენ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამ განზრახვისა არაფერი სცოდნია.

26 მაისის ამბავი მსწრაფლ მოედო პარლამენტს. ყველა განცვიფრებული და აღშფოთებულია ახალი და წარმოუდგენელი შევიწროებით საპარლამენტო ფრაქციისა. კადეტთა ფრაქციის თათბირი წინადაც ხდებოდა, სტოლიპინის და მაკაროვის დროს, მაგრამ მისი აკრძალვა ერთხელაც არ მომხდარა. ამ ამბავს დეპუტატნი სიმპტომატიურ მნიშვნელობას აძლევენ. მათი აზრით ინციდენ-

დენტი შედეგია მაკლაკოვის „ახალი კურსისა“. ზომიერი ფრაქციები უარყოფით უყურებენ ამბავს. იმედი აქვთ სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო ენერგიულ ზომებს მიიღებს ინციდენტის გამოსარკვევად.

**საპოლიციო რეფორმის პროექტი.** მინისტრთა საბჭოში შინაგან საქმეთა მინისტრს შეუტანია საპოლიციო რეფორმის პროექტი. პროექტს სარჩულად უდევს გუბერნატორთა თათბირის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი. პოლიცია გაიყოფება სამ ნაწილად: სისხლის სამართლისა, საადმინისტრაციო და მაძებარ პოლიციისა. სისხლის სამართლის პოლიცია საადმინისტრაციო საქმებისაგან განთავისუფლებული იქნება. პროექტი ხელუხლებლად სტოვებს ჟანდარმთა პოლიციას, მის მოვალეობას შეადგენს საპოლიტიკო საქმეების გამო ფორმალურ ჩვენების ჩამორთმევა. რათა ეს საქმე შესაფერ სიმაღლეზე იყოს დაყენებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰსურს მოაწყოს კურსები, სადაც ლექციებს წაიკითხავენ სისხლის სასამართლოს წარმოებაზე და სხვა საჭირო საგნებზე. განსაკუთრებულ წესების თაობაზე პროექტს დართული აქვს განმარტებითი ბარათი. სამინისტრო საჭიროდ სცნობს შეიმუშავოს საგანგებო წესთა ახალი დებულებანი, მხოლოდ სანამ ეს წადილი საკანონმდებლო გზით არ განხორციელდება, ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთ უფლება არ ერთმევათ საჭიროების დაგვარად შემოიღონ განსაკუთრებული წესები. კრების თაობაზე კანონპროექტში ნათქვამია: კრების გამართვა ცის ქვეშ შეიძლება გუბერნატორის ნებართვით; რკინის გზის სადგურიდან ერთი ვერსის მანძილზე, და მეფის საცხოვრებლიდან, სახელმწიფო-საბჭოსა და სათათბიროს შენობებიდან სამი ვერსის მანძილზე კრებების გამართვა აკრძალულია. ყრილობის გამართვა შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით. კანონპროექტის საფინანსო ნაწილი სულ შეიცავს 40—50 მილიონ მანეთის ხარჯს. როგორც ლაპარაკობენ, კანონპროექტს მინისტრთა საბჭოში ოპოზიცია შეჰხვდება.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.

30 მაისი.

**ხელმწიფის დეპეშა ფერდინანდ და პეტრე მეფისადმი.**

**პეტერბურგი.** (ოფიციალური) ხელმწიფე იმპერატორმა ბულგარეთისა და სერბიის მეფეებს მოსკოვიდან 26 მაისს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ფრიად გამახარა იმ ცნობამ, რომ სალონიკში უნდა შეჰხვდნენ ერთმანეთს მოკავშირე სახელმწიფოთა პრემიერ-მინისტრები, რადგანაც ეს განზრახვა გვიჩვენებს ბალკანეთის სახელმწიფოთა სურვილს შეთანხმდნენ და შეჰკრან კავშირი, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო დღევანდლამდე. ღრმა მწუხარებით შევიტყვე, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ არ ასრულებულა და ბალკანეთის სახელმწიფონი ემზადებიან მ-ძმეთა სისხლის საღვრელად, რაც დაჰბინდილავს მათ მიერ მოხვეჭილ სახელს. ამ ფრიად პასუხსაგებ დროს მე უფლება მაქვს და მოვალეცა ვარ მოწოდებით მივმართო თქვენს უდიდებულესობას. ორივე ერმა ბულგარეთისამ და სერბიისამ თვისი ხელშეკრულებით რუსეთს მიანდო ყოველივე დავის გადაწყვეტა. ვთხოვ თქვენს უდიდებულესობას, ნუ უღალატებთ ნაკისრ მოვალეობას და ენდეთ რუსეთს... ამ დავის გადაწყვეტაში. ვიღებ რა მხედველობაში სამედიატორო სამართლის ფუნქციებს, ჩემს გარდუვალ მოვალეობად ვთვლი გაგაფრთხილოთ, რომ მოკავშირეთა შორის ატეხილ ომში გულგრილად ვერ ვიქნები. საჭიროდ ვთვლი განვაცხადო: სახელმწიფო, რომელიც ამ ომს დაიწყებს პასუხისმგებელი იქნება მთელი სლავიანობის წინაშე და მე სრულს თავისუფლებას ვიტოვებ ამოვირჩიო შესაფერი პოზიცია ამ ფრიად მავნე და დამღუპველი ომის დროს!“

### უცხოეთი.

**ბუდაპეშტი.** საპარლამენტო მუშაობის პატრიციის კონფერენციაზე ტისამ სიტყვა წარმოსთქვა: აღნიშნა ლუკაჩის დამსახურება; ლუკაჩი იძულებული იყო თანამდებობა მიეტოვებია მის საწინააღმდეგო გალაშქრების გამო; თუმცა ლუკაჩი ყოველსავე ეჭვს გარეშე სდგას, მაგრამ შეიძლება უცხოელნი დაეჭვიანდნენ, ვითომც ლუკაში პირად ინტერესებს ემსახურებოდაო, როდესაც მას „პანამისტი“ უწოდეს; ოპოზიციის ბრალდებანი არ გამომდინარეობს ზნეობრივ მოსაზრებიდან; ტისას იმედი აქვს, დადგება დრო, როცა მთავრობასა და ოპოზიციის შორის ნორმალური ურთიერთობა განმტკიცდებაო. ტისა ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

**ლონდონი.** ელჩთა თათბირმა 2 ნახ. საათს გასტანა. შემდეგი სხდომა 5 ივნისისთვის არის დანიშნული.

პარლამენტის წევრნი—უოლსტერელი უნიონისტები ედუარდ კარლსონის მეთაურობით ლონდონიდან წავიდნენ, რათა შეჰქმნან შოტლანდიისა და ინგლისის დიდ ქალაქებში ჰომრულის საწინააღმდეგო კომპანია. როგორც იტყობინებიან, პარლამენტის ირლანდიელი წევრნი, რედმონდის მეთაურობით უნიონისტებს დაედევნენ, რათა მათ საწინააღმდეგო კომპანია დაიწყონ ჰომრულის სასარგებლოდ.

პოლიციამ ნიუ-კესტლში იარაღის საწყობი აღმოაჩინა; იარაღი ოლსტერში გასაგზავნად იყო გამზადებული.

**ბრიუსელი.** ფინანსთა მინისტრმა კანონ-პროექტი შეიტანა, გაადიდოს ავტომობილების, სინემატოგრაფის, სასმელების და სხვათა გადასახადი; გადასახადთა გადიდება სამხედრო რეფორმით არის გამოწვეული.

**ვენა.** საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ექვსი თვით დროებითი ხარჯთ-აღრიცხვა.

**ბეირუტი.** მიუხედავად მრავალი დაპირებისა, პორტამ უარი სთქვა, ადგილობრივ ადმინისტრაციას შეუვსოს ხარჯთ-აღრიცხვის დეფიციტი; ამის გამო ლიბანის ადმინისტრაცია არ აძლევს ჟანდარმერიას ჯამაგირს. საადმინისტრაციო საბჭომ გადასწყვიტა, ევროპის სახელმწიფოთა წინაშე პროტესტი განუცხადოს პორტას და შედეგის მთელი პასუხისგება ოსმალეთის მთავრობას დააკისროს.

**ცეტინიე.** მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი, თუ ვინიცობაა სერბია-ბულგარეთის ომი ასტყდა, ჩერნოგორიამ რა ოპოზიცია უნდა დაიჭიროსო. როგორც ეტყობა, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. იპეკისაკენ გაემართა სამი ბრიგადა—9000 ჯარისკაცი, მათ შორის სამი ათასი იპეკის მეციხოვნე ჯარს გამოსცვლის.

**ბელგრადი.** რუსეთის ელჩი ეწვია მეფესა და პაშიჩს; ელჩი დაბეჯითებით ურჩევდა პაშიჩს სერბია-ბულგარეთის საკითხი მშვიდობიანად დაასრულონ. პაშიჩმა სთქვა: სერბია პირველი არ დაიწყებს ომს და იმედი აქვს, მისი ცხოველმყოფელი ინტერესები დაკმაყოფილებული იქნებაო. გაზეთ „შტამპის“ თანამშრომელს ეწვია პაშიჩი; მას უთქვამს: სერბიელის ბულგარეთისაგან პასუხს პრემიერთა შეხვედრის დ ხელშეკრულების გადათვალიერების წინადადებაზე; ბულგარეთი კი აგრესიულ გზას ადგას; თუ ბულგარეთი თავს დაეცა სერბიას, მთელი პასუხისგება რუსეთისა და ევროპის წინაშე ბულგარეთს დაეკისრება. მდგომარეობა ფრიად გაჭირვებულია. ლონდონიდან ჩამოვიდა სერბიის დელეგატი ნოვაკოვიჩი. იგი ეწვია „პრავდა“-ს თანამშრომელს: პარიზსა და ლონდონში ბალკანელთა უთანხმოების უკმაყოფილონი არიანო; მოკავშირეებს ურჩევენ, რაც შეიძლება ჩქარა შეჰხვდნენ პრემიერნი პეტერბურგში სადავო საკითხების განსახილველად.

**ლონდონი.** ოსმალეთის დელეგატნი სტამბოლს წავიდნენ; მათ ხელი არ მოუწერიათ ოსმალეთ-საბერძნეთის დამატებითი ოქმისთვის.

**სოფია.** დანევი კვლავ განაგრძობს პარტიათა ბელადებთან მოლაპარაკებას. როდისლავსმა სხვა და სხვა მიზეზების გამო უარი განაცხადა კაბინეთში შესვლაზე.

**თეირანი.** უკანასკნელ ცნობებით, სალარ-უდ-დოულე ხალხალში იმყოფება. მდევარი რაზმი მის შესაპყრობად ყაზვინისაკენ გაემართა.

**ქრისტიანია.** სტორტინგმა საარჩევნო უფლებათა გაფართოვების და ქალთა საარჩევნო უფლების გათანასწორების კანონ-პრექტი ერთხმად მიიღო.

**ბერლინი.** პრუსიის ახალი ლანდტაგი გაიხსნა ბეტმან-ჰოლვეგის სეფე სიტყვით.

**ლონდონი.** გაზეთი „ტაიმსი“ სწერს, რომ ხელმწიფე იმპერატორის დეპეშის გამოქვეყნების შემდეგ, ბალკანელ სახელმწიფოთა მდგომარეობა უფრო საიმედოაო. „ტაიმსის“ აზრით, ვერაფერი ვერ მოახდენდა ისეთ ძლიერ გავლენას საზოგადოებრივ აზრსა, ერსა და ჯარზე, როგორიც მოახდინა ხელმწიფის დეპეშამ. „ტაიმს“ იმედი აქვს ბალკანეთის ყოველი სახელმწიფო უყურადღებლად არ დასტოვებს ღრმად ნაფიქრ სიტყვებს რუს ხელმწიფისას.

**პარიზი.** გაზეთები ხელმწიფე იმპერატორის დეპეშას დიად ისტორიულ მოვლენად სთვლიან; ეს მოვლენა კონფლიქტის მშვიდობიან დაგვირგვინების იმედს იძლევაო. „ჟურნალი“ სწერს: ხელმწიფემ თვისი მოვალეობა შე სრულა; რა შედეგიც არ უნდა მოჰყვეს ამას, რუსეთს მაინც ღირსებას ჰმატებსო. საფინანსო კომისიის მესამე სხდომა სამ ივნისისთვის გადაიდო, რადგანაც ბალკანელ დელეგატებს მთავრობისაგან საჭირო ინსტრუქციები არ მიჰსვლიათ.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატა. ტისამ მთავრობის სახელით განცხადება წაიკითხა. ოპოზიცია სხდომას არ დასწრებია. ტისას პალატა ტაშის ცემით მიეგება. ტისამ განაცხადა: ახალი კაბინეთი ძველ კაბინეთის პოლიტიკას აწარმოებს და სასტიკად დაიცავს 1867 წლის კანონებსო. სხვა და სხვა ეროვნებათა მიმართ მთავრობა კონსტიტუციონალურ პირობების განმტკიცებისთვის იზრუნებსო. მთავრობა ეცდება შეირიგოს ის ერნი, რომელნიც სახელმწიფოებრივი იდეის საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებენო. სამხედრო ხარჯთა თაობაზე ტისამ სთქვა: ჰუნგრეთი, ვერ ჩამორჩება სხვა სახელმწიფოებს, როდესაც ისინი თვის სამხედრო ძალებს აძლიერებენო. დასასრულ ტისამ დაჰხატა მთავრობის მოქმედობის პროგრამა ცხოვრების სხვა და სხვა დარგებში.

**ბელგრადი.** სერბიის მთავრობამ ბულგარეთის მთავრობას ნოტა წარუდგინა: კონფლიქტის გასანელებლად სერბია წინადადებას აძლევს ბულგარეთს შეამციროს მომქმედი ჯარის შემადგენლობა ერთი მეოთხედით. სერბიის აზრით, ეს დემობილიზაცია შეძლებას მისცემს მოკავშირეებს სადავო საკითხები მშვიდობიანის გზით გადასწყვიტონ.

**მადრიდი.** მეფემ ხელმეორედ მიანდო რომანონესს კაბინეთის შედგენა.

**კოპენჰაგენი.** მინისტრ-პრეზიდენტი თანამდებობაზე გადადგა. მეფემ სამინისტროს მიანდო დროებით საქმის გამგებლობა. მან პარტიათა ლიდერებთან მოლაპარაკება გამართა.

**ვენა.** გაიხსნა ქალთა თანასწორობის საერთაშორისო კონფერენცია. დაესწრო 70 წარმომადგენელი ქალი ევროპისა, ამერიკისა და ავსტრალიისა. ავსტრიის წარმომადგენლებმა თხოვნით მიჰმართეს პარლამენტსა და მინისტრ-პრეზიდენტს, გააფართოვონ ქალთა პოლიტიკური უფლებანი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გრეიმ ბალკანეთის საკითხის თაობაზე მოიხსენია ხელმწიფე იმპერატორის დეპეშა და იმედი გამოსთქვა, ბალკანეთის სახელმწიფონი მიიღებენ რჩევასო. ბალკანეთის სახელმწიფოებს უნდა ახსოვდეთო, სთქვა გრეიმ, რომ თუ ისინი ერთი-ერთმანეთში ომს ასტეხენ ბრძოლის ნაყოფის განაწილებისთვის, დაჰკარგავენ ყველაფერს, რაც კი მოიმკესო.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „პრავდა“-სა და „ლუჩ“-ის მე-123 ნომერი.

**პეტერბურგი.** ტიმეს საქმე. ბრალმდებლის ამხანაგმა ნენაროკომოვმა ილაპარაკა ორ საათს. მან დაახასიათა დამნაშავეთა პიროვნება, მათი ზნეობრივი დაცემა და მოითხოვა შეუბრალებლივ დაადგინონ განაჩენი. ბრალმდებლის შემდეგ ილაპარაკა მომჩივანმა დიდონმა. იგი ამტკიცებდა ბრალდებულთა დანაშაულობას. ილაპარაკეს დოლმატოვის და გეისმარის დამცველებმა. ბრალდებულთ სიტყვა არ უთქვამთ. განაჩენის გამოტანას ღამე მოელიან.

**პეტერბურგი.** სასამართლოს კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომლითაც ნაფიც მსაჯულებს ეძლევათ საგზაო და დღიური ხარჯი. კომისიამ დღიური ხარჯი კანონ-პროექტთან შედარებით გაადიდა.

**მოსკოვი.** მოსკოვის სლავიანთა კომიტეტმა ბულგარეთისა და სერბიის მინისტრ-პრეზიდენტებს დეპეშა გაუგზავნა, სადაც მხურვალეთ მოუწოდებს, ძმათა სისხლით ნუ შეღებავენ ნათელ იმედს მთელ სლავიანთა.

**ოდესა.** გამოირკვა, რომ დიდ ფონტანზე ბოროტ-მოქმედთა აფიცრებზე თავ-დასხმის დროს 27-მაისს—ხუთიდან ერთი მოკლულია, ერთი დაჭრილი დანარჩენებთან ერთად მიიმალა. ისინი მძარცველი—ბოშები აღმოჩნდნენ. დაჭერისას პოლიციელთ კეტებით წინააღმდეგობა გაუწიეს.

**პეტერბურგი.** ტიმეს საქმე. ნაფიცმსაჯულთ ორივენი დამნაშავედ იცნეს მკვლელობაში გაძარცვის მიზნით წინასწარ განძრახვით. სასამართლომ ორივე მიუსაჯა ყველა უფლებათა ჩამორთმევა და კატორღაში მუშაობა **დოლმატოვს** 17 წლით და **გეისმარს** 15 წლით.

## შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოებას 26 მაისის საღამოსათვის შემოწირულება მიიღეს: 1) ელისაბედ წამალაშვილისაგან 1 ცალი ფრაჟეს ჰქის დასადგამი, 2) ჟირარდის მაღაზიიდან 1 ბავშვის გულის პირი, 1 წყვილი ჩულქი, 3 წყვ. ბავშვის ჩულქი, 12 ც. საყელო ტილოსი, 1 ფარჩის ზედატანი, 3) ბარბარე დავითის ასული ავალიშვილისაგან თავის ნახატი: 4 ც. ხელოვნური ჩარჩო, 11 ცალი ხელოვნურად ნახატი თიხის ჭურჭელი (ქოთნები, ჯამები და სურები), 4) ვანო დუშურაშვილისაგან 10 ც. ჯორჯაძის სურათი, (თინათინ გიორგის ას. ფორაქიშვილის ხელით), 5) ზაქარია დავითის ძე ფორაქიშვილისაგან 5 მან., 6) ელენე გ[illegible] ასული ვაჩნაძისაგან 1 მ., ყალმისა და ქარანდაშის ჩასადები, 7) ელის. მიხ. ას. ვაჩნაძისამ შლიაპის ნემსი, 8) ლუარსაბ არუთინოვმა ერთი ბოთლი არაყი. 9) ვანო ავალიშვილმა ოთხი ნივთი, 10) არტემ დონიევმა 50 კაპ. 11) მიხ. იოვარაშვილმა 5 ბოთლი ღვინო, 12) სერგო მოსესოვმა 3 კაპ. 13) დავ. ვარსიმოვმა 50 კაპ., 14) კარაპეტ პაპაჯანოვმა 1 კოლოფი საპონი, 15) იაგორ ხეჩანოვმა 6 კაპ., 16) ვ. ბარამოვმა 1 ბოთლი ღვინო, 17) დამხმარე საზოგადოებისაგან 1 ნივთი, ხეჩო დარჩიევმა ერთი ყუთი კამფეტი და 5 კაპ., 18) ვ. არუთინოვმა 5 კაპ., 19) ნერ. თათუზოვმა 10 კაპ., 20) ვან. ქარელოვმა 10 კ., 21) ჩურცინელმა 10 კ., 22) ალ. გულოვმა 10 კ., 23) ხოს. სულთანიშვილმა 5 კ., 24) გალუსტოვმა 10 კ.. 25) პოღოს დარჩიევმა 5 კ., 26) აბ. ქანანოვმა 1 ბოთლი ღვინო, 27) შაქ. ოგანეზოვმა პაპიროსი, 28) მიხ. სეტვაშვილმა 3 ბოთლი ღვინო, 29) იას. კობერიძემ 5 კაპ., 30) სარ. მაილოვმა 1 პაპიროსი, 31) ვ. ტერაბრამოვმა 1 კალმის ტარი, 32) კარ. მეჰურქლოვმა 2 ბოთლი ღვინო, 35) კ. ივანოვმა 2 მან., 36) აფთიაქი „შენგრ“-მა —2 შუშა წვეთები, 37) გ. გამაზოვმა 1 საპონი, 38) გრ. პაპოვმა—1 საპონი, 39) ალ. ვართანოვმა 2 კოჭის ძაფი, 40) თ. კვეზერელმა 3 ნივთი, 41) ნ. დავიდოვმა 2 ბ. ღვინო, 42) არ. პოღოსოვმა ერთი ჩაი, 43) ტ. პაპოვმა 2 კლიტე, 44) ხ. დულიანმა 1 ბოთლი ლიმონადი, 45) დ. შიოევმა 1 ბურთი, 46) არ. ბარიანცმა 1 საფერფლე, 47) გ. აფრიამოვმა 10 ლია ბარათი, 48) ვ. მამულოვმა 20 კაპ. 49) დ. მოსესოვმა 30 კაპ., 50) ალ. ოგაჯანოვმა 1 ბოთლი ღვინო, 51) ი. ხოჩიაშვილმა 1 წყვ. პატარა ჩუსტი, 52) აკ. არუშანოვმა 1 ქუდი, 53) ვ. ხარათიანცმა 1 ბოთლი არაყი, 54) გ. ოსიპოვმა 2 სარდინკა, 55) პავლე არონიშიძემ 2 პუდრა, 56) ალ. პეპანოვმა 5 კ.

## წერილი რედ. მიმართ

დაუვაწყარ განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად გიგზავნით 3 მ.

ბლ. მღვ. **გიორგი ალნიაშვილი.**

ბ. რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ თოთხმეტ მანეთს შეგროვილს სადგ. უჯარაში მცხოვრებ ქართველთა შორის და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის.

შემომწირველთა სია: 2 მ. ი. ხ—მა 1 მ. 50 კ. ა. ნასიძემ, თითო მან. ივ. სამხარაძემ, გ. სირაძემ, სტ. არუცებმა, ივ. ლიახოვიჩმა, ს. ილიაშვილმა, ილ. გასგიანმა, კ. ჭანიშვილმა და თ. ბუკზის მეუღლემ; ათ-ათი შაური დ. ჟვანიამ, ს. ცხადაძემ, ალ. თედორაშვილმა, ლ. გუმუშვილმა, და პ. კორკიტაძემ.

პატივისცემით **ლ. ხულაშვილი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **სჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **საგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

## თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** თელავში. 1216

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| | |
|---|---|
| უბნები | |
| 1—2 | **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. ხიჭელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილის**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

## ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო
## სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

## „606“ და „914“

**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა**

**კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები.

ახალ-ახალი

## იშხანი,

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქიტკა).

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჩირა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და

**კონსერვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

## ახალი სითხე „უ ა კ მ ე ნ ი“

არის ერთად-ერთი **საშუალება** ვენახებისა, ბაღებისა და სხვა მცენარეთა **სოკოს ავადმყოფობის მორჩენისა და მავნე მწერთაგან დაცვისა.** **მიღებული აქვს საპატიო დიპლომი** ქუთაისს 1909 წლის ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ნარდი და წვრილი ვაჭრობა

## „ი. გოკიელოვებისა და შვილების“

**სავაჭრო სახლში, ქ. ქუთაისში.**

განმარტება „უაკმენის“ სითხის სარგებლობის შესახებ მსურველს შეუძლიან მიიღოს რუსეთის ერთად-ერთ წარმომადგენელთან **კანტორა „კლო-ტზურულში“, ქუთაისში.** 301

## გამოსულია და იყიდება
## ი. გედევანიშვილის პიესა
## „მ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

—— გამოსულია და იყიდება ——

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მემობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.